ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 21 ივნისი 2007 №140 (3063) ფასი 50 თეთრი



2007 წლის 20 ივნისი...

# მალხაზ ასათიანი: მე უკვე დავბრუნდი!

## 270 უმალხაზო დღე: ქართულ ფეხბურთს იმედი დაუბრუნდა

**2007 წლის 20 ივნისი. „ლოკომოტივი" — ამკარი": რუსული პრემიერლიგის ჩემპიონობის ბედი აქ არ წყდებოდა და დიდიც არაფერი, მაგრამ... ქართველი გულშემატკივრებისთვის როგორ თუ არაფერი... მალხაზ ასათიანი დაბრუნდა! როგორ აკლდა ეს ცხრა თვე „ასკა" „ლოკომოტივსაც" და, რა თქმა უნდა, საქართველოს ნაკრებსაც, მისი მინდორზე ყოფნისას ხომ ჩვენი გუნდი სულ სხვა პენით თამაშობს, სულ სხვა იმედს აძლევს გულშემატკივრებს... „ლოკომოტივმა" „ამკართან" 0:1 წააგო, მაგრამ, როგორც ვთქვით, ეს მეათასეხარისხოვანია. მთავარი ამბავი სხვაა — მალხაზ ასათიანი!**

— დიდი ემოციები მომაწვა მინდორზე დაბრუნებისას — გვითხრა გუშინ მალხაზმა, როცა მოსკოვში დავუკავშირდით — ყოველთვის ვგრძნობდი, რომ უზომოდ მენატრებოდა თამაში, მაგრამ ეს ყველაზე მეტად დღეს ვიგრძენი.

**— იცი, რომ 270 დღეა, არ გითამაშია?**

— აღარც მინდა ამაზე ფიქრი. მოდით, დღეებს ნუ დავითვლით, 270 ძალიან ბევრი გამოდის — ჯობია, თვეები ვთქვათ...

**— გულშემატკივრები როგორ შეხვდნენ შენს მინდორზე გამოჩენას?**

— ოვაციებიც იყო და დიდი სითბოც ვიგრძენი. ყველა მხარს მიჭერდა, დიდ მადლობას ვუხდი ყველას, ვინც ამ ცხრა თვის განმავლობაში მხარში მედგა.

**— მატჩს მიმოხილვაში ეწერა, მატჩის ბოლოს ასათიანი ცოტას კოჭლობდაო. ხომ არ გაგირთულდა რამე?**

— არა, ნატკენ ფეხში მომხვდა ოდნავ. საშიში არაფერია...

**— მოედანზე გასვლისას შიშს მაინც გრძნობდი?**

— როცა მინდორზე გავედი, ტრავმაზე წამითაც აღარ მიფიქრია. დაცვაში დამაყენეს, ჩემი შესვლისას უკვე ვაგებდით და მეორე ტაიმში „ამკარი" ჩვენს ნახევარზე თითქმის არც გადმოსულა.

**— როგორ ატყობ, მომდევნო მატჩში უფრო დიდხანს ითამაშებ?**

— ვნახოთ... ეს უკვე მწვრთნელის გადასაწყვეტია.

**— „ლოკომოტივი" „ლოკომოტივად" და, ქართველი ქომაგიც სულმოუთქმელად გელის...**

— მეც ძალიან მომენატრა ყველა და ერთი სული მაქვს, როდის მოვა ნაკრების თამაში. მადლობა ყველას, მე უკვე დავბრუნდი!

**ილია ნანობაშვილი**



2006 წლის 23 სექტემბერი...

# ელოდეთ გალამაზებულ სტადიონებს!

23 ივნისს საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის პრეზიდენტის არჩევნებია, მაგრამ საარჩევნო არც არაფერია — პრეზიდენტობის მსურველებს 15 ივნისამდე ჰქონდათ განაცხადის შეტანის ვადა, მაგრამ რაკი ერთის გარდა მსურველი არ გამოჩნდა, ფაქტია, მომავალი ოთხი წლის განმავლობაში პროფლიგას კვლავ დიმიტრი რამიშვილი უთავკაცებს. როცა მოცილე არ გყავს, ან შენი ეშინიათ, ან დარწმუნებულნი არიან დამარცხებაში, ანაც ბოლომდე გენდობიან — ამ სამიდან უფრო სავარაუდო ისაა, რომ რამიშვილს ენდობიან, ანუ კარგად მუშაობს. რამიშვილს „დიას" გალა-დაჯილდოების ცერემონიალზეც ვესაუბრეთ და პროფლიგის სამომავლო პროექტებზეც...


ბაჩანა კოჭლამაზაშვილის ფოტო

— ვფიქრობ, დაჯილდოებამ კარგად ჩაიარა. ის დატვირთვა, რომ გამარჯვებულებს გამარჯვებულად ეგრძნოთ თავი და დამსწრე სტუმრებს სიამოვნება მიეღოთ, შესრულდა. ეს ყველაფერი ფეხბურთის პოპულარიზაციისკენ იყო მიმართული, ქართული ფეხბურთი კი ამას ნამდვილად იმსახურებს. შევეცადეთ, ცნობილი სახეებიდან არავინ გამოგვრჩენოდა, მოწვეული გვყავდა ვეტერანი ფეხბურთელები — ის ხალხი, ვინც სამშობლოს ღირსეულად ემსახურა და ემსახურება.

— მეტი პოპულარიზაციის მიზნით, გაისად „დიაზე" უცხოელი სტუმრების მოწვევას ხომ არ აპირებთ?

— რა თქმა უნდა, ამის სურვილი გვაქვს და რეალურიც მგონია. თავად ნახეთ, რომ წლიდან წლამდე ლამაზად ტარდება „დიას" დაჯილდოება. შეამჩნევდით, როგორ უხაროდათ გუშინდელ გამარჯვებულებს, არადა, ორი წლის წინ ეს ნაკლებად შეინიშნებოდა.

— პროფლიგამ ამ წლების მანძილზე მხარდამჭერები მოიზიდა და კიდევ ხომ არ არის მოსალოდნელი ახალი სპონსორების გამოჩენა?

— ამაზე ზუსტ პასუხს ჯერ ვერ გაგცემთ. საერთოდ, სეზონის დაწყების წინ სპონსორებისგან ინტერესი მატულობს. როგორც იცით, 23 ივნისს პროფლიგის პრეზიდენტის არჩევნებია და მართალია, პრეზიდენტობის მსურველი არავინ გამოჩნდა, მაგრამ ჯერ არ მინდა, როგორც მომავალმა პრეზიდენტმა, ისე ვილაპარაკო.

— წამახალისებელ ლატარიაზე რას იტყოდით და ხომ არ გაიზრდება მომავალში საპრიზო ფონდი?

— ეს ლატარია მაინც ახალდაბადებულია, ჩვენგან არ არის ორიენტირებული თანხის ამოღებაზე, ანუ ისევ ფეხბურთის პოპულარიზაციის მიზნით გავაკეთეთ. წარმოიდგინეთ, თანხის მოგების შანსს გაძლევენ და თან ფეხბურთს უფასოდ გაყურებინებენ. ახალი კი ის იქნება, რომ აუცილებლად დასანერგია მატჩებზე ბილეთების გაყიდვა.

— კი მაგრამ, საქართველოში თითქმის არ არსებობს ეროვნული ჩემპიონატის მატჩების ბილეთის შეძენის კულტურა...

— მთავარი ის კი არ არის, რამდენად გაიყიდება ბილეთები, არამედ ის, რომ ამის პრეცედენტი იყოს, რადგან ფეხბურთი ბიზნესია და ჩვენც ამ გზით უნდა ვიაროთ. საქართველოში ასეა: კლუბების მეპატრონეები ფულს ხარჯავენ, ამონაგებს ვერ ნახულობენ და ამიტომაცაა ყბადაღებული ერთწლიანი გუნდები. მერე ამ ბიზნესმენს სწყინდება ფულის ხარჯვა, ბილეთების გაყიდვით კი მათაც გაუადვილებათ საქმე.

— ბილეთების გაყიდვა შეიძლება მომავალი სეზონიდანვე დაიწყოს?

— შესაძლოა, მომავალ სეზონშივე მასობრივად ვერ მოხერხდეს, მაგრამ საფუძველი უნდა ჩაეყაროს და მერე გულშემატკივარი ნელ-ნელა მიეჩვევა, რომ ფეხბურთის საყურებლად თანხაა გადასახდელი.

— წლეულს საქართველოს თასის ფინალის ტრანსლაცია ჩვენთვის ნოვაციური სისტემით გადაიცა. მომავალ სეზონში თუ იქნება მსგავსი რამ და კიდევ, გაიზრდება თუ არა ჩემპიონატის მატჩების ტრანსლირების რაოდენობა?

— ჩვენ გვქონდა პრეტენზია ტრანსლაციების ხარისხზე და ამიტომაც დავიხმარეთ 26 მაისის თასის ფინალზე უცხოელი ტელეკომპანიის პროდიუსერი. საერთოდ, რეპორტაჟების ყიდვის სურვილი მატულობს. ჩვენ გვაქვს ძალიან საინტერესო პროექტები და ერთ-ერთი ასეთია სახელმწიფოს ხარჯებით რეგიონებში სტადიონების რეკონსტრუქცია: ეს იმის შესაძლებლობასაც მოგვცემს, რომ ამ სტადიონებიდან პირდაპირი რეპორტაჟები იქნება თუ მიმოხილვები, ტელევიზიით გადაცემა შესაძლებელი იქნება. ცხადია, ეს რეგიონებში ფეხბურთის პოპულარიზაციას დიდად გაზრდის. ეს რეკონსტრუირებული სტადიონები კი ინფრასტრუქტურულად და, შესაბამისად, სპორტული თვალსაზრისით, ძლიერ კლუბებს გადაეცემათ.

— სეზონი ახალი დამთავრებულია, მაგრამ რამდენიმე უმაღლესლიგელი კლუბი უკვე დიდ გასაჭირშია და არ იციან, მოახერხებენ თუ არა უმაღლეს ლიგაში მონაწილეობას...

— მომავალ სეზონში უმაღლესი ლიგა 14-გუნდიანი იქნება. დებულებაში ასეა და, ბუნებრივია, ვინც წინა სეზონში ადგილი შეინარჩუნა, იმას ხელს ვერ ვკრავთ. თუ მონაწილეობა ვერ მოახერხეს და მოთხოვნები ვერ დააკმაყოფილეს, ეს უკვე სხვა საქმეა. ამაზე 23 ივნისის შემდეგ ვითათბირებთ და სულ ერთი კვირა დაგვჭირდება უმაღლესი და პირველი ლიგის გუნდების მდგომარეობების შესასწავლად, ვინაა მზად და ვინ არა...

— თუ იყო შემოთავაზება პირველი ლიგის კლუბებისგან, რომ თუ უმაღლესლიგელმა მოთხოვნები ვერ შეასრულა, ისინი მზად იქნებიან მათ ჩასანაცვლებლად?

— სურვილი ერთია, მაგრამ რამდენად დააკმაყოფილებენ, ეგ სხვა საკითხია. ჯერ არაფრის თქმა არ შემიძლია, 23 ივნისის შემდეგ კი ამის გარკვევას თვეები სულაც არ დასჭირდება. 30 ივნისს გამგეობის სხდომაც გვექნება. აქვე ვიტყვი კლუბების ლიცენზირებაზეც: 2008-09 წლების სეზონიდან ყველა კლუბს უნდა ჰქონდეს ლიცენზია, ეს აუცილებელი პირობაა. შეიძლება ითქვას, ეს უახლოეს სეზონშიც აუცილებელია, განსაკუთრებით კი იმ კლუბებმა უნდა იაქტიურონ და სპონსორები გამოძებნონ, რომლებიც ადგილობრივი გამგეობების ხარჯებზე არიან.

## დანარჩენს არჩეული რამიშვილი იტყვის

ილია ნანობაშვილი

# მახარაძემ სატობოლო ოცეული დარაზმა

„ზესტაფონმა" ყაზახეთში წასაყვანი ოცკაციანი შემადგენლობა ჩამოწერა.

ინტერტოტოს თასის პირველი ეტაპის პირველ მატჩს იმერული კლუბი შაბათს კუშტანაის „ტობოლთან" სტუმრად ჩაატარებს, ერთი კვირის თავზე კი საპასუხო შეხვედრა თბილისში, „მიხეილ მესხზე" გაიმართება.

„გუნდი კუშტანაიში თამაშის წინა საღამოს ჩარტერული რეისით გაფრინდება — შეგვატყობინა გუშინ ზესტაფონელთა პრესსამსახურის უფროსმა სერგო ფუტკარაძემ — მოთამაშეების გარდა დელეგაციაში კლუბის ხელმძღვანელები, რამდენიმე გულშემატკივარი და ჟურნალისტებიც შედიან. საქართველოში დარჩენილი ქომაგები კი მატჩის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციას, კლუბის ოფიციალურ ვებგვერდზე ონლაინ-რეჟიმში მიიღებენ".


თემურ მახარაძე

ფეროელებს გაბონელი ნახევარმცველი პოლ კესანი ნაკრებიდან უკვე დაუბრუნდათ და, ცხადია, განაცხადშიც უმალ შეიყვანეს, თუმცა, „ზესტაფონის" სხვა ლეგიონერებისგან განსხვავებით, მისთვის სავიზო პრობლემები ჯერ არ მოუგვარებიათ.

საგანგაშო არაფერია, ამ საკითხის გადაწყვეტა მოესწრებაო, დასძინა ფუტკარაძემ. ქართველებს კი ყაზახეთში ჩასასვლელად ვიზები არ სჭირდებათ — შეზღუდვა მხოლოდ შორეულ უცხოელებზე ყოფილა.

თამაში შაბათს, კუშტანაის დროით, 19.30 საათზე (ჩვენებურად 17.30) დაიწყება და მას სლოვენიელი მსაჯები გაუძღვებიან.

ოთარ გალლაძელიძე

**სატობოლო ზესტაფონი**

**მეკარეები:** გრიგოლ ჭანტურია, როინ კვასხვაძე;

**მცველები:** შალვა ლონლაძე, ედსონ სანტოსი, გიორგი ხიდეშელი, როინ ონიანი, კახა ჩხეტიანი, სევასტი თოდუა, ედიკ საჯაია;

**ნახევარმცველები:** ჟილვან ვიეირა, ნიკა კვასხვაძე, ჟონატას ტორესი, პოლ კესანი, ალექსი ბენაშვილი, მურთაზ დაუშვილი, ამირან სანაია, ირაკლი ძარია;

**თავდამსხმელები:** გოგი ფიფია, გიორგი ჭელიძე, გაგა ჩხეტიანი.

### შვედეთი

| |
|---|
| **სუპერეტა. X ტური** |
| სირიუსი 1:3 ნორჩიოპინგი |
| **თასის მერვედფინალი** |
| ჰეკენი 0:2 სუნდსვალი |
| იორგრიტე 1:1დ.დ. (1:1, 2:4პ) მიალბი |
| სკოვდე 3:3დ.დ. (2:2, 3:4პ) კალმარი |

### ნორვეგია

| |
|---|
| **ტიპელიგა. XI ტური** |
| ბრანი 2:1 ალესუნდი |
| სანდეფიორდი 2:2 ფრედრიკსტადი |
| სტაბეკი 2:1 ვიკინგი |
| სტრიომსგოდსეტი 1:2 ტრომსიო |
| ვოლერენგა 0:0 ლინი |
| **1 დივიზიონი. XII ტური** |
| ბრინი 4:2 ჰაუგესუნდი |
| ჰიონეფოსი 2:1 მანდალი |
| ლოვ ჰამი 4:0 ბოდიო გლიმტი |
| მიოლდე 1:0 ნოტოდენი |
| მოსი 2:0 სკეიდი |
| რაუფოსი 1:2 ტრიომსდალენი |
| სოგნდალი 3:0 კონგსვინგერი |
| სპარტა 2:4 ჰამ კამი |

### რუსეთი

| |
|---|
| **პრემიერლიგა** |
| **გადადებული მატჩი** |
| ლოკომოტივი 0:1 ამკარი |

### ისლანდია

| |
|---|
| **პრემიერდივიზიონი VII ტური** |
| კოპავოგური 2:0 რეიკიავიკი |
| ვიკინგური 1:2 კეფლავიკი |
| ჰაფნარფიორდური : ბრეიდაბლიკი |
| გვიან დამთავრდა |

### იაპონია

| |
|---|
| **ჯეი ლიგა. XVII ტური** |
| იოკოჰამა 0:0 გამბა |
| ნიიგატა 3:1 ფკ იოკოჰამა |
| ტოკიო 2:1 კოფუ |
| ივატა 0:0 ომია |
| კაშივა 0:1 კაშიმა |
| ნაგოია 1:2 შიმიცუ |
| ოიტა 0:1 იჩიჰარა |
| ჰიროშიმა 1:1 კავაზაკი |
| ურავა 2:0 კობე |

### ევროპის 2007 წლის U-21 ახალგაზრდული ჩემპიონატი

| |
|---|
| **ნახევარფინალი** |
| ჰოლანდია 1:1 (13:12პ) ინგლისი |
| სერბეთი 2:0 ბელგია |

# ასათიანი დაბრუნდა!

## გუშინ მოსკოვში: ქართველმა ჯერ ილაპარაკა, მერე ითამაშა



გუშინ მალხაზ ასათიანი ცხრათვიანი უქმობის შემდეგ დაუბრუნდა მინდორს. პერმის „ამკართან“ (0:1) მატჩში „ასკამ“ მეორე ტაიმი სრულად ითამაშა და მის გამოჩენას მოსკოვის „ლოკომოტივის“ გულშემატკივრები დიდი ოვაციებით შეხვდნენ. „ასმეათე მინდორზე ბრუნდება“ — ასე იწყება რუსულ „სოვეტსკი სპორტში“ მალხაზ ასათიანთან ინტერვიუ. „ასმეათე“ კი, მიხვდებით, რასაც ნიშნავს: ასათიანის რუსული თარგმანია...

— მალხაზ, ცხრა თვე გაგიცდა ტრავმის გამო. ძალიან ბევრია...

— ასეთმა სიტუაციამ მეც ამიშალა ნერვები. მუხლი აღარ მტკიოდა, მაგრამ ხანდახან ვარჯიშებზე არასასიამოვნო შეგრძნება მაინც მქონდა.

— იქნებ, პრობლემების ფესვები არა მუხლში, არამედ თავშია — ფსიქოლოგიურად ხომ არ გეშინოდა მინდორზე გასვლა?

— რატომღაც, ბევრი ასე თვლის. ექიმმაც კი მითხრა, შეგიძლია, ოთხ-ხუთ თვეშიც დაიწყო თამაში, მაგრამ მაშინ ვერავინ მოგცემს გარანტიას, რომ ტრავმა არ გაგირთულდებაო. ჩემი თავის მტერი ხომ არ ვარ... ახლა კი ვამბობ: მზად ვარ!

— 90 წუთი თამაში უკვე შეგიძლია?

— ალბათ, ჯერ არა. ორმხრივ თამაშებზეც მთლად ვერ ვიტვირთები მთლად ბოლომდე, დისკომფორტს ვგრძნობ ხოლმე.

— აღდგენითი პროცესების გარდა, ამ თვეების განმავლობაში რას აკეთებდი?

— მოსკოვში ბევრი საინტერესო ადგილია — რესტორანი, კინოთეატრი... აი, კაზინოსგან კი შორს მიჭირავს თავი. არა იმიტომ, რომ ფულის წაგების მეშინია, უბრალოდ, არ მომწონს ასეთი ადგილები.

— ესე იგი, მოსკოვში ცხოვრებას შეეგუე...

— ასე ვთქვათ, შევეჩვიე მოსკოვს. თავიდან, როცა ჩამოვედი, მიჭირდა, მენატრებოდა საყვარელი ხალხი, მერე კი აქ მეგობრები გავიჩინე. მარატ იზმაილოვთან მალევე დავმეგობრდი, მან თავისი ოჯახიც გამაცნო, შინაურულად მექცეოდა. ხშირად ვკონტაქტობ გოგიტა გოგუასთან. და მაინც, ჩემს მშობლიურ ქუთაისზე უკეთესი არაფერია.

— ქუთაისში რა არის განსაკუთრებული?

— ბევრი რამ... ამ ქალაქში 250 ათასი კაცი ცხოვრობს, სამ ათასწლეულზე მეტისაა და იქ ბევრი ეკლესია და ღირსშესანიშნავი ადგილია.

— კერძო სახლში ცხოვრობდი?

— არა, ბავშვობა ჩვეულებრივ კორპუსის ბინაში გავატარე, თუმც ახლა მშობლები ჩემს ნაჩუქარ სახლში გადავიდნენ. ის სახლი დიდი არაა, მაგრამ ძალიან ლამაზია, განსაკუთრებით კი ბაღი მომწონს... იმ სახლში ზაფხულის საღამოს მშვენიერ სუფრას გააწყობ.

— ალბათ, ოჯახური სუფრისას კომპანიის სული და გული ხარ...

— კი, ვაღიარებ... მე მათ ვუმღერი ხოლმე. ვუცდი, სანამ შეთვრებიან და მერე სიმღერას რომ იწყებენ, მეც ავყვები ხოლმე. ჩემიანების არ მრცხვენია. თუნდაც ხმა არ მქონდეს, არავინ დამცინებს. აი, სამზარეულოში ყოჩაღობას კი ვერ დავიჩემებ: კარტოფილის და ერბოკვერცხის შეწვა შემიძლია, ქართულ ეროვნულ კერძებს კი ვერ მოვამზადებ. სამაგიეროდ, დედაჩემი აკეთებს ბრწყინვალე საცივს, ხაჭაპურს... მოკლედ, სახლიდან ყოველთვის წონამომატებული ვბრუნდები.

— მშობლები რას საქმიანობენ?

— უკვე ხუთი წელია, უმუშევრები არიან. ადრე მამა ქარხანაში ინჟინრად მუშაობდა, დედა კი — ტელეგრაფში. ახლა ისინი დამკვირვებლები არიან.

— ვის აკვირდებიან?

— აკვირდებიან, როგორ ვიზრდებით მე და ჩემი ძმა. გიორგის პატარა ბიზნესი აქვს ქუთაისში, ოჯახი, ორი ვაჟი ჰყავს, მე კი საყვარელი ბიძიკო ვარ ძმიშვილებისთვის. უფროსი ბიჭი, ნიკა სამი წლისაა, უმცროსი კი წლინახევრისაა — მალხაზი ჰქვია და ვგებ, ისიც ფეხბურთელი გახდეს.

— შენი ძმა რატომ არ გახდა ფეხბურთელი?

— კალათბურთს თამაშობდა, თუმც მუხლის ტრავმის გამო შეეშვა.

— გამიგია, რომ შენმა მშობლებმა ფრიადზე დაასრულეს სკოლა. შენზე რას იტყვი?

— მე სამიანების გარეშე დავამთავრე სკოლა, რუსულშიც კი ოთხიანი მყავდა. პუშკინის ლექსი „პატიმარი“ ახლაც ზეპირად მახსოვს. აი, უცხო ენა მიჭირდა. მახსოვს, მამა ყოველთვის მიმოწმებდა ნასწავლს. ვდგავარ, ჩემით ვიგონებ ვითომ ინგლისურ სიტყვებს, მას კი უხარია და ყველა ნაცნობს ეუბნება — „აი, გაიზრდება მალხაზი და კემბრიჯის უნივერსიტეტში შევა.“ მერე კი ყველაფერი გაირკვა, მე კემბრიჯი კი არა, ფეხბურთი მაინტერესებდა...

— ფეხბურთის გარდა რით ერთობოდი?

— ცხენზე ჯირითით, მეგობრებთან ერთად მთაში სიარულით...

— უნაგირის გარეშე ჯირითობდი?

— კი, მაგრამ მტკივნეული იყო. ამასწინათ არბატზე ვიჯექი ცხენზე, ჩემს გვერდით ქალმა გამოიარა და მაშინვე ვთქვი, მოდი, გავიჯირითებ-მეთქი. მაგრამ ქალაქში რაღაცნაირად უხერხულია — შენ ცხენით იყო, გარშემო კი ჯიპები და ლიმუზინები დადიან...

— თილისმა თუ გაქვს, რომელიც სულ თან დაგაქვს?

— მეგობარმა გამიკეთა ტყავისგან ამულეტი, შიგნით კი ქაღალდია, რომელშიც ლოცვები წერია ქართულად. მას ჯვართან ერთად ვატარებ.

— გოგონებს ხშირად პატიჟებთ სასაუზმოდ?

— ხდება ხოლმე. მოსკოვში ბევრი ლამაზი ქალია, თუმც ჩემი ოცნებისა ჯერ ვერ ვნახე. არადა, ალბათ დროა უკვე...

— და როგორი გოგონები მოგწონს?

— უკრაინელები! მეორე ადგილზე ქართველებს ვაყენებ, მესამეზე კი — რუსებს. დედაჩემი ნამდვილი ქალის მაგალითია — ლამაზი და კეთილი...



# ოლიმპი თუ ურეკი: ლოკომოტივმა ტესტები დაგეგმა

**თბილისის** „ლოკომოტივი“ ჯერაც საკუთარ ბაზაზე ვარჯიშობს, 25 ივნისიდან კი მეორე შეკრების გავლას ურეკში გეგმავს. ზღვისპირეთში წასვლა ჯერ საბოლოოდ გადაწყვეტილი არ არის, ყველაფერი ამ დღეებში უნდა გაირკვეს.

რაც შეეხება ცვლილებებს: რკინიგზელთაგან წამსვლელთა ვინაობა უკვე გამცნეთ, ახალწვეული კი ჯერ მხოლოდ გიორგი მიქაძეა, რომელმაც შარშანდელი სეზონი საჩხერის „ჩიხურაში“ დაასრულა. მის გარდა გუნდში ახალბედა ფეხბურთელებიც ისინჯებიან, რომელთა დარჩენა-არდარჩენის საკითხი საკონტროლო თამაშებზეა დამოკიდებული. რამდენიმე ტესტ-მატჩი რკინიგზელთა მწვრთნელებმა უკვე დაგეგმეს.

„ჯერჯერობით ახალწვეული მხოლოდ მიქაძეა. რამდენიმე ფეხბურთელს ვაკვირდებით, ზოგიც გასინჯვაზეა გუნდში, თუმც მეორე შეკრების და საკონტროლო თამაშების შემდეგ ყველაფერს გადავწყვეტთ. 23 ივნისს თბილისის „დინამოს“ მისსავე ბაზაზე ვეთამაშებით, 25-ში ურეკში თუ არ წავედით შეკრებაზე, გვინდა, რუსთავის „ოლიმპს“ გავეჯიბროთ. ჯერ გადაწყვეტილი არაფერია. დღეს ან ხვალ საბოლოო პასუხები გვეცოდინება“ — გვითხრა ლოკომოტიველთა მთავარმა მწვრთნელმა გიორგი კიკნაძემ.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ზაზა დარასელი და მეორე არხი

**გუშინ** ცნობილი ჟურნალისტისა და პუბლიცისტის, ზაზა დარასელის ხსოვნის ტრადიციული ტურნირი დასრულდა.

ფინალურ მატჩში „მეორე არხი“ „აფხაზეთის ტელევიზიას“ შეხვდა. ძირითადი დრო 0:0 დამთავრდა, დამატებითში კი მეორეარხელებმა გადამწყვეტი გოლი გაიტანეს და 1:0 იმარჯვეს.

აღსანიშნავია, რომ ტურნირი უკვე მეშვიდედ ჩატარდა და „მეორე არხი“ უცვლელი ჩემპიონია. ერთგვარად სიმბოლურიცაა: ზაზა დარასელი ხომ „მეორე არხის“ დამფუძნებელი გახლდათ.

გამარჯვებულ გუნდს „საზოგადოებრივი არხის“ ხელმძღვანელმა თამარ კინწურაშვილმა გადასცა თასი. „ტოიოტამ“ კი „მეორე არხს“ 1000 ლარი ჩააბუტა.

ფინალისტ „აფხაზეთის ტელევიზიას“ დავით ოქიტაშვილმა 300 ლარი გადასცა.

ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელი „აფხაზეთის ტელევიზიის“ ფეხბურთელი ლადო ერქვანია გახდა, ვისაც ზაზა დარასელის ოჯახმა 1000 ლარი და „ნოკიას“ ფირმის მობილური ტელეფონი გადასცა.

ერქვანიამ „რადიო ჯაკოსგანაც“ მიიღო საგანგებო თასი და „ისი პარისგან“ სუნამოც ერგო.

„ისი პარიმ“ სუნამოებით სხვა გამორჩეული ფეხბურთელებიც დააჯილდოვა: საუკეთესო მეკარე — გოჩა გრძელიძე („მეორე არხი“), საუკეთესო მცველი — გიზო ზივზივაძე („მეორე არხი“), საუკეთესო თავდამსხმელი — დიმიტრი ობოლაძე („რუსთავი 2“).

ყველაზე კორექტული გუნდის პრიზი გაზეთმა „24 საათმა“ დააწესა და ტელეკომპანია „მზეს“ ერგო.

ზაზა დარასელის შვილმა, ნინო დარასელმა ტურნირის ყველა მონაწილეს მაისურები და ჟურნალი „ანაბეჭდი“ აჩუქა.

მთლიანობაში კი, მართლაც ლამაზი ტურნირია და ყოველ წელიწადს მართლაც კორექტულად ტარდება. ზაზა დარასელის სახელს სხვანაირად არც ეკადრება...

**ნუკრი ლოლაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჭელიძემ ზარია დატოვა და დატოვა სადამდე დავითვლით ახალ სეზონში?


გიორგი ჭელიძე

უკრაინული გუნდები უკვე ახალი სეზონისთვის მზადებას შეუდგნენ. მომდევნო ჩემპიონატი საკმაოდ მალე, 14 ივლისს იწყება და, სავარაუდოდ, ახალ უკრაინულ სეზონს ოთხი ქართველით ნაკლები დაიწყებს.

ოდესის „ჩერნომორეცის" ქართველებზე, კახა მჟავანაძესა და გიორგი შაშიაშვილზე ყველაფერი ცნობილია — მჟავანაძე მახაჩყალის „ანჟიში", შაშიაშვილი კი ავსტრიულ „შტურმში".

გავრცელებული ცნობებით, საზღვარგარეთ გააგრძელებს კარიერას ილია კანდელაკიც — ადრეც დავწერეთ, რომ მას იენის „კარლ ცაისში" გადასვლის შანსი აქვს.

გიორგი ჭელიძეს კი უმაღლეს ლიგაში დარჩენილ ლუგანსკის „ზარიასთან" განათხოვრების ვადა ამოეწურა და იქაურობა უკვე დატოვა, თუმც „ზარიას" მისი ტრანსფერის გამოსყიდვის სურვილიც აქვს. ჯერჯერობით, კი „პაჭელი" მოსკოვის „ლოკომოტივს" ეკუთვნის და ვნახოთ, გაანათხოვრებენ თუ არა რუსები ჩვენებურს ერთხელაც.

ასევე განათხოვრების ვადა ამოეწურა კიევის „არსენალში" მოთამაშე ლაშა ჯაკობიას, რომელიც დედაქალაქურ გუნდში ხარკოვის „მეტალისტმა" გაუშვა. ჯაკობიას ივნისის ბოლოს თავად ხარკოველებთანაც უმთავრდება კონტრაქტი და მის გაგრძელებას არც აპირებს. ამგვარად, ივლისიდან ჯაკობიას ახალ ტრანსფერს უნდა ველოდოთ.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**


დავით გამეზარდაშვილი

# ლატვიის თასი ქართულად განახევრდა

ლატვიაში თასის გათამაშების მეოთხედფინალური მატჩები გაიმართა. „ქართულმა" გუნდებმა ადვილად დაძლიეს ეს ბარიერი, თუმც მეტოქეებად სუსტი გუნდები სულაც არ ჰყოლიათ.

ზურაბ მენთეშაშვილის „ვენტსპილსმა" შინ შარშანდელი თასის მფლობელი „მეტალურგსი" მიიღო და 3:0 დაიფრინა. მენთეშაშვილის გარეშე მოთამაშე „ვენტსპილსმა" საქმე პირველივე ტაიმში მოითავა და მეორეში დიდად აღარ შეუწუხებია არც თავი და არც მეტოქე.

დავით გამეზარდაშვილის და ზაალ ელიავას „სკონტომ" კი სტუმრად 3:1 მოუგო მიმდინარე ჩემპიონატის ლიდერ „რიგას". ელიავამ ტრავმის გამო ისევ იუქმა, გამეზარდაშვილი კი სკონტოელთა დაცვის მთავარ ფიგურად იქცა და შეუცვლელად თამაშობს. ჩვენებურმა ამ მატჩში ყვითელი ბარათი მიიღო, თუმც თასის ნახევარფინალში გასასვლელად ასეთი „მსხვერპლის" გაღება რა სათქმელია...

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# თარხნიშვილი: საუკეთესოც და სიმბოლურიც



მოლდოვის ჩემპიონატი ახლახან დასრულდა და იქაურმა „სპორტ-კურიერმა" ჩემპიონატის სიმბოლური ნაკრები შეადგინა.

აბა, ისე როგორ იქნებოდა, ჩემპიონ „შერიფის" კაპიტანი ვაკა თარხნიშვილი ამ ნაკრებში ვერ მოხვედრილიყო. თუმც გასული სეზონის გამოკითხვით თარხნიშვილი მარტო სიმბოლურს არ დასჯერდა და „შერიფის" საუკეთესო ფეხბურთელიც გახდა, თანაც, დიდი უპირატესობით — ქართველმა მცველმა გამოკითხულთა ხმების 44,3 პროცენტი მიიღო, მეორე ადგილზე გასულმა სერგეი პაშჩენკომ — 14,1 პროცენტი.

„მოულოდნელიც იყო და სასიამოვნოც. გუნდის ნებისმიერ ფეხბურთელს შეეძლო „შერიფის" საუკეთესობა. ყველაზე მეტად დიდმა უპირატესობამ გამაოცა — ასეთი სხვაობა ამ კონკურენციაში კიდევ უფრო მოულოდნელი აღმოჩნდა" — განაცხადა თარხნიშვილმა.

თარხნიშვილი 10 წელია, მოლდოვაში თამაშობს და „შერიფის" შეუცვლელ კაპიტნად ითვლება. ამის გამო იყო, რომ გუნდის ხელმძღვანელობამ მასთან კიდევ ორი წლით გააგრძელა კონტრაქტი. 36 წლის ქართველი იმედოვნებს, რომ დარჩენილ დროში ყველა შერიფულ ოცნებას აისრულებს.

„კარგი სეზონი გვქონდა, თუმც წყენაც დაგვიტოვა — თასის ნახევარფინალში მოულოდნელად წავაგეთ და მისი შენარჩუნება ვერ შევძელით. ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე კი გუნდს ცოტა მეტი გამოცდილება რომ ჰქონოდა, მოსკოვის „სპარტაკს" აუცილებლად მოვუგებდით. იმედი მაქვს, ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მაინც ვითამაშებ და ოცნებას ავისრულებ" — აღნიშნა თარხნიშვილმა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ოთხი ქართველი შვედურ მესამეში

გაგიგიათ კლუბი „გალივერი მალმბერგესტი"? შვედეთის მესამედივიზიონელი ყოფილა, სადაც ოთხი ქართველია — მწვრთნელი ზაურ სვანაძე და ფეხბურთელები, ირაკლი სირბილაძე, ლაშა კირვალიძე და რამაზ სვანაძე.

ზაურ სვანაძე უკვე წელიწადზე მეტია, შვედეთშია. თბილისის „დინამოს" ოქროს თაობის ნახევარმცველი საქართველოს ჩემპიონატშიც იყო მწვრთნელობით დაკავებული — თბილისის „ლოკომოტივს" თავკაცობდა 2004 წლის მიწურულს, მერე კი იგი ნოდარ აკობიამ შეცვალა. სვანაძე საქართველოს ნაკრების სამწვრთნელო შტაბშიც გახლავთ.

ირაკლი სირბილაძე ჩვენს ჩემპიონატში საუკეთესო თავდამსხმელი არასოდეს ყოფილა, მაგრამ ბევრიც ვერ სჯობდა.

სირბილაძე „ლოკომოტივის" წამყვანი ფორვარდი იყო. 2005 წელს რკინიგზელებმა საქართველოს თასი რომ აიღეს, ირაკლი იმ პერიოდში მშვენიერ ფორმაში იყო. ტანმაღალმა და თავით ყოჩაღად მოთამაშე თავდამსხმელმა გასული სეზონის პირველი წრე რუსთავის „ოლიმპში" გაატარა, ზამთარში კი მისი თბილისის „დინამოში" გადასვლა თითქმის გადაწყვეტილი იყო, თუმც სირბილაძე უკვე შვედეთშია და „გალივერში" 6 მატჩში 4 გოლიც გაიტანა.

ასევე „ლოკომოტივში" თამაშობდა ლაშა კირვალიძეც, თუმც რაიმე დასამახსოვრებელი მატჩები მას არ ჩაუტარებია. ისე კი, შვედურ კლუბში ერთი გოლის გატანა მოასწრო.

რაც შეეხება 26 წლის რამაზ სვანაძეს, მას ჭაბუკობისას ძალიან საინტერესო ფეხბურთელად თვლიდნენ, საქართველოს ასაკობრივ ნაკრებებშიც ყოველთვის ხვდებოდა და გაუთავებელმა ტრავმებმა არ მისცა წინსვლის საშუალება.

სვანაძე იღო შუშკის დროინდელ „დინამოშიც" ირიცხებოდა, თუმც ამ პერიოდში უკვე აღარ ითვლებოდა ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელად.

ბოლოს კი ერთი საინტერესო ამბავიც: წარმოიდგინეთ, ამ „გალივერს"— შვედეთის მესამე დივიზიონის კლუბს — 20 სპონსორი ჰყოლია!..

**ილია ნანობაშვილი**








# უქართველო უკრაინა

როგორც გუშინდელ „სარბიელში" გამცნეთ, ერთ-ერთი უკრაინული ვებგვერდი დასრულებული ჩემპიონატის სიმბოლური ნაკრების გამოკითხვას ატარებდა. ჩვენებურთაგან მხოლოდ ორი ფეხბურთელი იყო ნომინანტთა შორის — დნეპროელი ჯაბა კანკავა და კრივბასელი ვასილ გიგიაძე. ჯაბამ თავის ამპლუაში მეხუთე ადგილი დაიკავა (96 ხმა), გიგიაძემ კი მეექვსე (98).

საბოლოოდ ამ მაჩვენებელმა ჩვენებური ვერც ჩემპიონატის სიმბოლურ ნაკრებში მოახვედრა და ვერც უკრაინაში მოთამაშე ლეგიონერთა სიმბოლურ ნაკრებში.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**







# პიზარრო მე, კივუ შენ

## რომა და ინტერი თანხმდებიან

**იტალიურ** პრესაში გავრცელებული ბოლო ცნობების თანახმად, მილანის „ინტერმა“ საწადელი მაინც აისრულა და კრისტიან კივუ მომავალი სეზონიდან „ნერაზურის“ ღირსებას დაიცავს. დედაქალაქელთა რუმინელ მცველს დიდი ხანია, ბევრი მსურველი ჰყავს და მათ შორის „ინტერი“ ერთ-ერთი ყველაზე აქტიური იყო.

კივუმდე „რომას“ და „ინტერს“ დავიდ პიზაროს საკითხი ჰქონდათ მოსაგვარებელი. ექსუდინეზელი ნახევარმცველი ორივეს საკუთრებაა და მხარეები მის მომავალზე უნდა შეთანხმებულიყვნენ. თავად ჩილელს „რომაში“ სურდა დარჩენა და ასეც მოხდა.

„ცუდად დაწყებული მოლაპარაკებები კარგად დასრულდა. „ინტერის“ ტრანსფერების კონსულტანტმა ლელე ორიალიმ და „რომას“ სპორტულმა დირექტორმა დანიელე პრადემ საერთო ენა გამონახეს. მოგვიანებით კი კლუბების მმართველებს, როზელა სენსისა და მასიმო მორატის ტელეფონით უსაუბრიათ და ყველაფერზე შეთანხმებულან.

„რომას“ პიზაროს გამოსყიდვა 6,2 მილიონი ევრო დაუჯდა.

აპენინური ჟურნალ-გაზეთების ცნობით კი, „ინტერი“ კივუში 12,6 მილიონ ევროს გადაიხდის. ამ თანხის ნაწილით „გლადიატორები“ „ლუვერკუზენიდან“ ბრაზილიელი ჟუანის ყიდვას ეცდებიან, ვინც კივუს შემცვლელად უნდათ.

**ქოქი ქანდელაკი**

# ტიაგუ თითქმის იქაა

## იუვე ტრეზეგეს და კამორანეზის ვერ ელევა




**პორტუგალიელი** ნახევარმცველი ტიაგუ მენდეში „იუვენტუსში“ გადადის — ეს უკვე ორივე მხარემ დაადასტურა.

„ჯერ ვერ ვიტყვით, რომ შეთანხმება მიღწეულია, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ რამდენიმე უმნიშვნელო დეტალი რჩება დასაზუსტებელი. წესით, პრობლემა არ უნდა შეიქმნას. შეგვიძლია, ვთქვათ, რომ ტიაგუ თითქმის იუვენტუსელია“ — აღნიშნა „ლიონის“ წარმომადგენელმა მარიო ფასოლიმ.

უფრო ფრთხილობს ტურინელთა გენერალური დირექტორი ჟან-კლოდ ბლანი: „ჩვენ ამ საკითხზე ვმუშაობთ და ტიაგუ ერთი ნაბიჯით მოუახლოვდა „იუვენტუსს“.

შეგახსენებთ, რომ 26 წლის ფეხბურთელმა „ლომებს“ კონტრაქტის გახანგრძლივებაზე უარი უთხრა — უფრო ძლიერ გუნდში მინდა გადასვლაო. „ლიონის“ პრეზიდენტი ჟან-მიშელ ოლა მას 18 მილიონ ევროდ აფასებს.

იმავდროულად, „იუვენტუსს“ გადაუწყვეტია, განაწყენებული დავიდ ტრეზეგეს გული ისევ მოიგოს და ფრანგი ფორვარდი დაარწმუნოს, რომ გუნდში დარჩეს.

„ჩვენ მისი შენარჩუნება გვინდა და მჯერა, შეთანხმებას მივაღწევთ. რაც შეგვეძლება, ყველაფერს გავაკეთებთ და იმედია, დავიდიც გამოთქვამს მოლაპარაკების სურვილს. იგივე ეხება მაურო კამორანეზისაც, რომლის მომავალი დაახლოებით 3-4 კვირაში გაირკვევა“ — განაცხადა „იუვეს“ პრეზიდენტმა ჯოვანი კობოლი ჯილიმ.

**გიორგი ქაქაბაძე**

# ბრმა აუქციონი

## ვის დარჩება კალიარელა?



„**სამპდორიამ**“ და „უდინეზემ“ ფაბიო კალიარელა ვერ გაიყვეს.

შეგახსენებთ, რომ 23 წლის თავდამსხმელი ორივე კლუბის საკუთრებაა. მხარეები ერთმანეთს კი შეხვდნენ და იმსჯელეს, მაგრამ ვერ შეთანხმდნენ.

გენუელებმა და უდინელებმა პრობლემის გადასაჭრელად გადაწყვიტეს, საფეხბურთო სამყაროში ცნობილი, მაგრამ იშვიათი ხერხისთვის მიემართათ. საუბარია „ბრმა აუქციონზე“. ეს ინფორმაცია „უდინეზეს“ სპორტულმა დირექტორმა პიეტრო ლეონარდიმაც დაადასტურა.

ორივე გუნდი წარადგენს დახურულ კონვერტს, რომელშიც ფურცელი იდება, ფურცელზე კი თანხა ეწერება. თუ „სამპდორიას“ თანხა „უდინეზეს“ აჯობებს, კალიარელა მთლიანად გენუელთა საკუთრება გახდება, იმ ფულს კი უდინელები მიიღებენ და პირიქით. კონვერტების გახსნა დღეს იგეგმება.

არადა, კალიარელას მრავალი მსურველი ჰყავს — „მანჩესტერ იუნაიტედი“, „იუვენტუსი“, „რომა“, „იუვენტუსი“, „მილანი“_ თუმცა იქამდე ჯერ ის უნდა გაირკვეს, ვინ მოიპოვებს მასზე სრულ უფლებას.

**ქოქი ქანდელაკი**

# კარლოს თურქმა თურქული ისწავლა



AFP

**ათასობით** ფანი შეიკრიბა სტამბოლში, „შუქრუ სარაჯოღლუს“ სტადიონთან რობერტო კარლოსის დასახვედრად. „ფენერის“ შეფების გვერდით ლურჯ-ყვითელ მაისურაში გამოწყობილმა ბრაზილიელმა ორწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი და თურქულად თქვა: „ფენერბაჰჩე“ უდიდესია, ფენერბაჰჩე ჩემპიონია“!

„ჩვენ გვიყვარხარ, კარლოს!“ — გაჰკიოდნენ ქომაგები. მათ საყვარელ ფეხბურთელს კლუბი წელიწადში ოთხ მილიონ ევროს გადაუხდის. პრემიის სახით კი, ჯილდოების მოგების შემთხვევაში, კიდევ მილიონ 300 ათასს მიიღებს.

„ამ მაისურით ჩემპიონთა ლიგის მოგებაზე ვოცნებობ“ — განაცხადა რობერტო კარლოსმა, რომელსაც ლიგა სამჯერ (1998, 2000 და 2002) მოუგია მადრიდის „რეალში“, სადაც 10 წელი გაატარა და კარიერის დასრულებას „ფენერში“ აპირებს.

სტამბოლურ კლუბს მის გარდა ოთხი ბრაზილიელი ფეხბურთელი ჰყავს, მწვრთნელი კი ზიკოა.

**ვაჟა ხუციშვილი**

## დირექტორი მწვრთნელი გახდა

**მოსკოვის** „სპარტაკის“ მწვრთნელად ამავე კლუბის სპორტული დირექტორი სტანისლავ ჩერჩესოვი დანიშნეს.

ყოფილმა მეკარემ ვლადიმირ ფედოტოვი შეცვალა, რომელიც გუშინწინ გაათავისუფლეს „მოსკვასთან“ მარცხის გამო. „სპარტაკს“ უკვე ხუთი ტური, არ მოუგია.

ფედოტოვს დარჩენა და ჩერჩესოვის პოსტი შესთავაზეს, მაგრამ იუარა. იგი ან „მოსკვას“ სპორტული დირექტორი გახდება, ან მოსკოვის „ტორპედოს“ მწვრთნელი. „ტორპედო“ შარშან პირველ დივიზიონში გავარდა.

## ემონმა მარსელს უერთგულა

„**მარსელის**“ მწვრთნელმა ალბერ ემონმა კონტრაქტი ორი წლით გაახანგრძლივა. მან გუნდი შარშან ჟან ფერნანდესისგან ჩაიბარა, რომელიც „ოსერში“ გადავიდა.

ემონის ხელში „მარსელმა“ სეზონის მეორე ნახევარი საუცხოოდ ჩაატარა და მეორე ადგილზე გავიდა, რითაც ჩემპიონთა ლიგის საგზური მოიპოვა.

## არარეალური გარიგება

„**სარაგოსას**“ ფორვარდ დიეგო მილიტოს ყიდვა „იუვენტუსს“ უნდა, ამ საქმეში კი, ახლა მადრიდის „რეალიც“ ჩაერია.

ესპანური „ასის“ ცნობით, „იუვემ“ მილიტო თუ იყიდა, „რეალი“ ტურინელებს გაცვლას შესთავაზებს — არგენტინელ ფორვარდში ფაბიო კანავაროს და 12 მილიონ გირვანქას შეაძლევს, თუმც იტალიელი მიმომხილველების აზრით, ასეთი გარიგება არარეალურია.

## ჯილარდინო ჩვიდმეტი ღირს

„**ფიორენტინამ**“ „მილანს“ ალბერტო ჯილარდინოში 10 მილიონი გირვანქა შესთავაზა.

ფეხბურთელმა მეორე სეზონი მოილია „შავ-წითლებში“, მაგრამ ვერა და ვერ ათამაშდა ისე, რისთვისაც „პარმადან“ იყიდეს.

„მილანმა“ „კალიარიდან“ დავიდ სუაზო შეიძინა და ჯილარდინოსთვის გუნდში ადგილი აღარ დარჩა. „ფიორეს“ ახლა ჩეზარე პრანდელი თავკაცობს, „პარმას“ ყოფილი მწვრთნელი და ჯილარდინოს გამზრდელი, რომლის სურვილიცაა ფორვარდის გადაბირება.

„იები“ თავდამსხმელს ოთხწლიან კონტრაქტს და წელიწადში 2 მილიონ 200 ათას გირვანქას ჰპირდებიან. მილანელები კი 17 მილიონს ითხოვენ ფეხბურთელში, ვისაც „იუვეც“ ეპატიჟება.

## მიკოლის მეფობა მოსწყინდა

**ფაბრიციო მიკოლი** სიამოვნებით დაბრუნდება იტალიაში, თუმც ჯერ არ იცის, რომელ გუნდში — „იუვენტუსში“ თუ „ნაპოლიში“.

27 წლის ფორვარდმა ბოლო ორი სეზონი „ბენფიკაში“ იჯარით გაატარა, კონტრაქტით კი „იუვეს“ ეკუთვნის.

„ლისაბონში მეფესავით ვიყავი, მაგრამ სამშობლოში სიამოვნებით ვითამაშებ. კლაუდიო რანიერის გეგმაში თუ ვერ ჩავჯდები, სხვა კლუბს ვნახავ. მაგალითად, „ნაპოლი“ მეპატიჟება. დიეგო მარადონას ფანი ვარ და მის ყოფილ გუნდში თამაშზე უარს არ ვიტყვი“ — თქვა მიკოლიმ.

**ვაჟა ხუციშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# სვენ ერთი გუნდი ვართ?

**ინგლისის** ნაკრების ყოფილ თავკაც სვენ გორან ერიკსონს „მანჩესტერ სიტის" მწვრთნელობა შესთავაზეს, ოღონდ ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ მანჩესტერულ კლუბს ტაილანდის ყოფილი პრემიერ-მინისტრი ტაკსინ შინავატრა იყიდის.

ამ ხმების გასანეიტრალებლად, შვედის აგენტმა, თავის საქმეში უცნობილესმა და ჭიპმოჭრილმა ათოლ სტილმა აიმაღლა ხმა. მან თქვა, რომ ხმები, თითქოს ერიკსონი უკვე ორჯერ შეხვდა ტაივანის პრემიერყოფილის კაცებს, ნაგავია და მეტი არაფერი, მაგრამ როგორც BBC-მ შეიტყო, ეს „ნაგავი" სიმართლეა, ოღონდ იმ დაზუსტებით, რომ არის ერთი „თუ", რომლის შესახებაც პირველსავე წინადადებაში მოგახსენეთ. კერძოდ, ერიკსონი „სიტის" იმ შემთხვევაში გაუძღვება, თუ შინავატრა კლუბის ყიდვას შეძლებს.

BBC-ს გადაცემა „ფაივ ლაივის" კორესპონდენტი ჯონათან ლიგარდი: „მე მითხრეს, რომ ერიკსონს სამსახური ტაკსინმა შესთავაზა. დათანხმდება შვედი თუ არა, ეს უკვე მეორე საკითხია. ერიკსონი ჯერ ფიქრობს. მითხრეს ისიც, ერიკსონამდე, თან მასზე მეტად, ტაკსინს კლაუდიო რანიერის გადაბირება სდომებია".

ამრიგად, სავარაუდოა, რომ ტაის პრემიერს სიაში ერიკსონის გარდა დღესაც ჰყავს სხვები, თუმცა ყველაზე სასურველად ინგლისელთა ყოფილი შეფი რომ დაუსახავს, ფაქტია.

„თუ ასე მოხდება, პირადად მე უკმაყოფილო ვიქნები — განაცხადა „მანჩესტერ სიტის" ერთ-ერთი ფან-კლუბის ხელმძღვანელმა ჰეიდი პიკაპმა — რასაკვირველია, ვიცი, რომ ერიკსონს საკლუბო დონეზე წარმატებები ჰქონია, მაგრამ იმავდროულად, მან ინგლისის ნაკრების მწვრთნელობისას მეტისმეტად უხეში შეცდომებიც დაუშვა".

**ბაჩუნა ძიდია**

## მოლაპარაკება მარცხნივ

**„ტუტოსპორტის"** ცნობით, „ლივერპული" „იუვესთან" მოლაპარაკებას აწარმოებს ჯორჯო კიელინის თაობაზე. ინგლისურ კლუბს მარცხენა მცველის წაყვანა უნდა ერთი სეზონით. ტურინელები ალბათ გაუშვებენ ფეხბურთელს პრემიერლიგაში, რადგან „ჯენოაში" განათხოვრებული მცველი დომენიკო კრიშიტო დაიბრუნეს.

## მამალი ბენტს არ ეშვება

**„ტოტენჰემი"** არ ეშვება „ჩარლტონს", რომელიც დარენ ბენტში 17 მილიონ გირვანქას ითხოვს. პრემიერლიგიდან გავარდნილ გუნდს „მამლები" თორმეტს სთავაზობენ. ბენტმა ერთი კვირის წინ უარი თქვა „ვესტ ჰემში" გადასვლაზე, მიუხედავად იმისა, რომ წელიწადში 3 მილიონ 750 ათას გირვანქას ჰპირდებოდნენ.

„ტოტენჰემი" ჩარლტონელ ფორვარდს ერთი მილიონით ნაკლებს სთავაზობს, მაგრამ ბენტს „მამლებში" თამაში ურჩევნია, რადგან უფრო მაღალი მიზნებისთვის იბრძოლებს.

## ზიკო ადრიანოს ითხოვს

**„ფენერბაჰჩემ"** „ინტერს" ერთი სეზონით სთხოვა ადრიანო, რომელიც გასულ სეზონში იშვიათად ხვდებოდა ძირითად შემადგენლობაში. სტამბოლური კლუბი ერთი კვირის წინ „მილანიდან" რონალდოს წაყვანას ცდილობდა, მაგრამ უარით გაისტუმრეს.

„ფენერი" ადრიანოს იმდენივე ხელფასს ჰპირდება, რამდენსაც „ინტერში" იღებს.

შეგახსენებთ, რომ თურქულ კლუბს ზიკო წვრთნის და გასულ სეზონში ჩემპიონი გახდა. მათ უკვე იყიდეს ერთი ბრაზილიელი — რობერტო კარლოსი „რეალიდან".

## ალიადირი ბოროში

**„არსენალის"** ფორვარდი ჟერემი ალიადირი „მიდლსბროში" გადავიდა. მან უკვე გაიარა სამედიცინო შემოწმება და სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

ის ბოროელთა მეორე შენაძენია. მათ რამდენიმე დღის წინ „ფენერბაჰჩედან" თუნჯაი შანლი გადაიბირეს.

ალიადირი გასულ სეზონში იშვიათად ხვდებოდა „არსენალის" ძირითად შემადგენლობაში და თავი ვერაფრით გამოიჩინა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# არსენალის საათი

**ბრაზილიაში** გაზრდილ-გალამაზებული გერმანელი სუპერმოდელი ჟიზელ ბიუნდჰენი და ლონდონის „არსენალის" ფრანგი ფორვარდი ტიერი ანრი ფოტოკამერების წინ იპრანჭებიან ლონდონში.

შვეიცარიული საათების მწარმოებელმა ფირმამ, „ებელმა" „არსენალთან" ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა და ამიერიდან უსპონსორებს.

„ებელის" სარეკლამოდ ლონდონის „ემირატ სტედიუმზე" დიდ ეკრანს ჩამოკიდებენ, საათივით აწყობილი ჟიზელი კი სარეკლამო კამპანიისთვის მიიწვიეს და ბურთსაც კი ამოსცხო ფეხი...

**ვაჟა ხუციშვილი**





AFP

# პელეს ხელები დააჭრეს

**პელეს** ბრინჯაოს ქანდაკებას, რომელიც ბრაზილიის ქალაქ სალვადორშია, მძარცველებმა ხელები მოაგლიჯეს და შავ ბაზარზე გაასაღეს.

ეს ქანდაკება შტატ ბაიას ადმინისტრაციულ ცენტრში 1971 წელს დადგეს, მას შემდეგ, რაც ბრაზილიის ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატი მესამედ მოიგო. ბრინჯაოს პელეს ხელში ჟიულ რიმეს თასი ეჭირა და სტადიონ „ფონტე ნოვასთან" იდგა დაუცველად.

36 წლის განმავლობაში პელე პირველად გაძარცვეს. ქალაქის მერიის განცხადებით, ქანდაკების აღდგენა მალე დაიწყება და სტადიონის ლობის შიგნით დადგამენ.

# მარტინსს ესროლეს



**„ნიუკასლის"** ნიგერიელი ფორვარდი ობაფემი მარტინსი შეშინებულია, რადგან ორშაბათს სამშობლოში იყო და ვილაცები თავს დაესხნენ. მარტინსი და მისი მეგობარი ავტომობილში ისხდნენ ბენზინგასამართ სადგურზე, როცა ავტომატიანი ნიგერიელები გამოჩნდნენ და სროლა ატეხეს. ნიუკასლელს ტყვიები ასცდა, მეგობარი კი დაჭრეს.

„ობა" ამჟამად იტალიაშია...

„არ ვიცი, რა მიზანი ჰქონდათ თავდამსხმელებს, მაგრამ იარაღიანების დანახვაზე დავიშოკე. როცა თავს მძარცველი გესხმება, იცი, რომ მას რაღაც ძვირფასი ნივთი უნდა, ამ ბიჭებს კი, ვფიქრობ, ჩემი მოკვლა სურდათ. ახლაც ვერ ვიხსენებ, როგორ მოვახერხე გაქცევა. ლაგოსში ალბათ კარგა ხანს აღარ ჩავალ" — თქვა შეშინებულმა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# მითხარი, რა მანქანა გყავს და გეტყვი...

## გარი ნევილი

მცველი



დაიბადა 1975 წლის 18 თებერვალს ბერიში

სიმაღლე: 1,80 მეტრი

წონა: 79 კგ

კარიერა:

1992 წლიდან — „მანჩესტერ იუნაიტედი"

(364 მატჩი, 5 გოლი)

1995 წლიდან თამაშობს ინგლისის ნაკრებში

(85 მატჩი, 0 გოლი)



## BENTLEY GT

გამოშვების თარიღი: 2003 წელი

სიგრძე: 4,804 მეტრი

სიგანე: 1,916 მეტრი

სიმაღლე: 1,390 მეტრი

წონა: 2 385 კგ

ცილინდრი: 12

ძრავის კუბატურა: 6,0

ავტომატური გადაცემათა კოლოფი

სიჩქარე: 318 კმ/სთ

100 კმ/სთ-ს ავითარებს 4,7 წამში

ფასი: 65 000 გირვანქა



# შენთვის ექვსად მაქვსო

## ალან შირერი ბრუნდება

**ალან შირერის ამბებს მოგახსენებთ, „სანის“ ჩანერილს და ჩვენს გადმოქართულებულს. მოგეხსენებათ, „სენტ ჯეიმს პარკის“ ქომაგთა კერპი, ანუ იგივე „ნიუკასლ იუნაიტედის“ ლეგენდა შარშან ზაფხულს საფეხბურთო მოედანს გამოეთხოვა და ყველას ეგონა, მყისვე მწვრთნელობას მოჰკიდებდა ხელს, მაგრამ ასე არ მოხდა, თუმცა სამწვრთნელო სასწავლებელში მაინც იარა და ერთი ეტაპი დაამთავრა კიდეც...**



რონ კინი და ალან შირერი

„ორი თვის წინ A კატეგორია მივიღე და ახლა, რა წამსაც მომინდება, შემიძლია, რა გინდა რა გუნდის წვრთნას შევუდგე, მაგრამ ეს ჯერ არაფრად მჭირდება. ამჟამად მხოლოდ ერთი გუნდია, სადაც მე მივალ, მანამდე კი დავისვენებ. დიახ, ერთ მშვენიერ დღეს აუცილებლად შევუდგები საქმეს, თორემ ნამდვილად ვიცი, 50 ან 55 წლისა რომ გავხდები და უკან მოვიხედავ, ვინანებ“ — განაცხადა 36 წლის ყოფილმა ვარსკვლავმა.

სანამ შირერის ინტერვიუს სხვა „საფეხბურთო“ ნაწილებს გაგაცნობდეთ, მის ყველაზე საინტრიგო პასაჟს გაგაცნობთ. საუბრის ამ ნაწილში ენამწარეობით ცნობილი ნიუკასლელი ყოფილ კოლეგას, დღეს „სანდერლენდის“ მწვრთნელ როი კინს „კბენს“.

მოგეხსენებათ, კინის ხელმძღვანელობით, „სანდერლენდმა“ პრემიერლიგის საგზური მოიპოვა და მომავალი სეზონიდან ისევ უმაღლეს ეშელონში ითამაშებს. ინგლისურ პრესაში წერენ, რომ ამ ზაფხულზე კინი და კომპანია შემადგენლობის გასაძლიერებლად გვარიან ფულსაც დახარჯავს, შირერი კი სხვა მხარეზე ამახვილებს ყურადღებას.

„ამასწინათ, ჩემი ერთ-ერთი სახლის გაყიდვა მინდოდა, 750 ათას გირვანქას ვაფასებდი. სახლის ყიდვით კინი დაინტერესდა. როგორც კი ეს ამბავი გავიგე, ფასი იმწუთას 6 მილიონამდე ავწიე. საერთოდ, რა მოგახსენოთ, კინს პირადად არ ვიცნობ, თუმცა, როგორც ფეხბურთელს, უდიდეს პატივს ვცემ. ის ერთ-ერთი მათგანი გახლდათ, რომლისნაირი თერთმეტი თუ გეყოლებოდა, დიდ წარმატებას მიაღწევდი, თუმცა მასთან პირისპირ ურთიერთობა არასდროს მქონია“.

შემდეგ შირერი ბობი რობსონზე ლაპარაკობს და ამბობს, რომ მისი კარიერა სწორედ ამ დიდმა მწვრთნელმა გადაარჩინა.

„ბობი რობსონი საოცარი იყო. მან კლუბი ფეხზე დააყენა. მის მოსვლამდე ყველაფერი თავის დინებაზე მიდიოდა. რობსონი რომ არა, „ნიუკასლი“ პრემიერლიგაში ვეღარ ითამაშებდა. მან ჩემი კარიერაც გადაარჩინა. კიდევ, „ბლექბერნში“ რომ ვთამაშობდი, კენი დალგლიში მახსოვს ძალიან კარგად. მან „ლივერპულს“ დუბლი მოაგებინა, „ბლექბერნს“ კი ჩემპიონობა. შემდეგ დალგლიში „ნიუკასლშიც“ მოვიდა, მაგრამ ეს, იცით, რა შემთხვევა იყო? მასზე შეიძლება ითქვას, შესაფერისი კაცი შეუფერებელ ადგილას გამოჩნდაო — კიგანის შემდეგ გუნდში საშინელი მდგომარეობა იყო, კლუბში არეულობა და სხვა საშინელებები ტრიალებდა. მოკლედ, მაშინ ჩვენთან მუშაობა ურთულესი საქმე იყო და მაინც, დალგლიშმა რამდენიმე ძალიან კარგი ფეხბურთელი იყიდა...

...და ბოლოს, რაც შეეხება გრემ სუნესს, მასზე იმას მოგახსენებთ, რომ ეს მწვრთნელი მე მომეწონა. მისი თვისებებიდან ყველაზე რთული ის იყო, რომ ის პირში მთქმელი, ალალი, კაცური კაცი იყო, რაც თანამედროვე ფეხბურთელებს არ უყვართ. მათ პირდაპირობა და კაცურობა არ სიამოვნებთ, მათ უყვართ, როდესაც ეფერებიან. მოკლედ, სუნესის მთავარი პრობლემა სწორედ ეს გახლდათ“.

„ნიუკასლ იუნაიტედის“ შემადგენლობაში ალან შირერმა 10 წელიწადში 206 გოლი გაიტანა, რომ იტყვიან, ქიციც ნახა და ქიცმაცურიც, მაგრამ მწარედ ახსოვს 1999 წლის ჩრდილო-აღმოსავლური დერბი „სანდერლენდის“ წინააღმდეგ, რომელშიც რუუდ გულიტმა არ ათამაშა.

„მაშინდელ ამბებს რომ იხსენებენ, ყველა ჩემს ისტორიაზე ამახვილებს ყურადღებას, მაგრამ მაშინ გულიტმა უგულებელჰყო ისეთი ფეხბურთელები, როგორებიც იყვნენ რობ ლი, სტიუარტ პირსი, ნიკოს დაბიზასი, ჯონ ბარნსი და კიდევ რამდენიმე. ჩემს საუკეთესო ძმაკაც რობ ლის კაპიტნობა ჩამოართვა, მე კი, თავიდან, თითქოს ასეთს ვერაფერს მიკეთებდა, რადგან თავდამსხმელი ვიყავი და გოლები გამქონდა, მაგრამ აი, დადგა „სანდერლენდთან“ შეხვედრა და გულიტმა მეც არ მათამაშა. დილით, ვარჯიშზე მივხვდი, რომ პრობლემა მქონდა, მწვრთნელი ჩემს შემადგენლობაში დასახელებას არ აპირებდა. მოკლედ, საშინელი დღე იყო, ჩვენ სეზონის ყველაზე პრინციპულ დაპირისპირებას მივადექით, აი, თამაში, აი, გუნდი და... მე მასში არ ვწერივარ. არც მე მათამაშებდა და არც დანკან ფერგიუსონს, ორივენი სათადარიგოთა სკამზე უნდა ჩამოვმჯდარიყავით. ჰოდა, მეორე დღეს მასთან დაპირისპირება გადავწყვიტე. კარში შევვარდი, და ვხედავ დიდი დანკი უკვე იქ ზის.. მეორე დღეს გულიტი გუნდიდან წავიდა.

არადა, თავიდან მეგონა, რომ რუუდ გულიტი კარგი მწვრთნელი იყო. საქმე ის გახლავთ, რომ მისი ვარჯიშები მეტად ჭკვიანური და საინტერესო იყო, მაგრამ ადამიანებთან ურთიერთობა არ შეეძლო“.

კარიერის განმავლობაში ალან შირერს ბევრი მცველი შეურცხვენია, მაგრამ შარშან თავადაც მოუხდა გაწითლება: ერთ დღეს მისმა ერთ-ერთმა ქალიშვილმა ჩუმად ჩაიწერა, როგორ მღეროდა მამამისი U2-ს რომელიღაც სიმღერას.

„პონტილენდში მივდიოდით და ორივენი ჩინებულ გუნებაზე ვიყავით, მაგნიტოფონზე სიმღერა ჩავრთეთ და მეც შემოვძახე, რა ვიცოდი, თუ ტელეფონი ჩართო...

ჰოდა, შარშანდელი მსოფლიოს ჩემპიონატის დღეებია და უცებ, შინიდან სასტუმროში მირეკავენ, რაღაც ისეთი უნდა მოგასმენინოთ, რაც ძალიან არ მოგეწონებაო. გავშრი, მაგრამ როდესაც მითხრეს შენი სიმღერააო, მომეშვა. მერე, ვცადე, გამეჩერებინა, მაგრამ არაფერი რომ არ გამომივიდა, დავიძახე, მიდი, დაუკარით, ბოლომდე მოვისმენ-მეთქი. მთავარი იყო, რომ გულზე მომეშვა“.

**ბაკუნა ბედია**

# დახარჯეთ და გაუძელით!



**ლონდონის** „ჩელსი“ წინა წლებთან შედარებით სატრანსფერო ბაზარზე ჯერჯერობით ძალიან პასიურია და ჟოზე მაურინიუს თქმით, აქტიურობას არც აპირებს. აქამდე „ჩელსიმ“ მხოლოდ სტივ სიდველი, კლაუდიო პიზარო და ტალ ბენ ჰაიმი დაიმატა. სამივე თავისუფალი აგენტის სტატუსით...

რომან აბრამოვიჩი ფულს ძველებურად აღარ ხარჯავს...

ჩემპიონმა „მანჩესტერ იუნაიტედმა“ კი უკვე დაახლოებით 40 მილიონი გირვანქა დახარჯა ტრანსფერებზე. გვარიანად გაძლიერებას გეგმავს „ლივერპულიც“. მოსალოდნელია, რომ „ტოტენჰემი“ და „არსენალიც“ საკმაო თანხას დახარჯავენ...

„ჩელსი“ კი აქტიურობას არ აპირებს. პორტუგალიელი სპეციალისტი თვლის, რომ ამის გამო მისი გუნდი პრემიერლიგის ფავორიტად შეიძლება, აღარ ჩათვალონ და ეს ახარებს, რადგან ლონდონელები ძველებური ზეწოლის ქვეშ აღარ იქნებიან.

„ბევრი კითხულობს, წინა სეზონში ორის ნაცვლად ოთხი ტიტული რატომ ვერ მოიგეო? თუმცა არცთუ ბევრ ჟურნალისტს უკითხავს რაფაელ ბენიტესის ან არსენ ვენგერისთვის — რატომ ვერც ერთი? და არც „მანჩესტერ იუნაიტედისთვის“ უთქვამთ საყვედური ან უკითხავთ, რატომ მხოლოდ პრემიერლიგა? ალბათ ყველაფერი ფულს უკავშირდება და იმედია, მომავალ სეზონში მედია ზეწოლას ამ ზაფხულს ბევრი ფულის მხარჯველებზე მოახდენს. ამ მხარჯველებს შორის კი „ჩელსი“ ნამდვილად არ იქნება. ასეთები „ლივერპული“, „მანჩესტერი“, „ტოტენჰემი“ და შესაძლოა, „არსენალიც“ იყვნენ. ასე რომ, მომავალი სეზონის დასაწყისში შეიძლება, თქვან, „ჩელსი“ ფავორიტი აღარ არისო, რადგან ბევრ ფულს არ დავხარჯავთ“ — განაცხადა მაურინიუმ.

**კოკი კანდელაკი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# დანარჩენი კალდერონს ჰკითხეთ

## ფაბიო კაპელო: შემიძლია ისევ ვიყო... კალმახი

ფაბიო კაპელომ ესპანეთის ჩემპიონობა მოიგო, თუმცა მადრიდის „რეალის“ მწვრთნელად მომავალი სეზონისთვის მაინც გერმანელი ბერნდ შუსტერი ინიშნება. ურთულეს ჯახში გამარჯვებულ დონ ფაბიოს კი იტალიური „გაძეტა დელო სპორტი“ ესაუბრა...



— ოქროს მედლების მოპოვების შემდეგ უამრავი ხალხი დაგიკავშირდათ ტელეფონით და გამარჯვება მოგილოცათ. ამათგან ვისმა მილოცვამ გამოიწვია თქვენში ყველაზე დიდი ემოცია?

— ალეგრა ანიელის სატელეფონო ზარმა ძალიან იმოქმედა, რადგანაც მისი მეუღლე, სენიორ უმბერტო, გარდაცვალებამდე მცირე ხნით ადრე დამიკავშირდა და მთხოვა, „იუვენტუსი“ ჩამებარებინა.

— და ყველაზე ნაკლებად ვის მილოცვას ელოდით?

— ლაპოს (ანიელის ნათესავია) მილოცვას. სხვაც ბევრი იყო ასეთი...

— ეს თქვენს კარიერაში ყველაზე ძნელად მოპოვებული ტრიუმფი იყო?

— დიახ. მადრიდში ჩამოსვლის პირველივე დღიდან იმ კალმახივით ვიგრძენი თავი, რომელიც დინების საწინააღმდეგოდ მიცურავს. მინდა, ჩემს თანაშემწეებს უზარმაზარი მადლობა ვუთხრა. ჩვენ საერთოდ არაფრისგან შევქმენით ბრძოლისუნარიანი გუნდი. არ გადავაჭარბებ, თუ ვიტყვი, რომ სასწაული მოვახდინეთ.

— მართალია, რომ შუა სეზონში გადადგომას აპირებდით?

— მიუნხენის „ბაიერნთან“ პირველი მატჩის შემდეგ კლუბის პრეზიდენტს ვუთხარი, რომ ვიცოდი, პრობლემები საიდანაც მოდიოდა. ვთქვი, რომ მზად ვიყავი გადადგომისთვის და ეს ამბავი მას უნდა გადაეწყვიტა. რამონ კალდერონმა კი მიპასუხა, მე სეზონს ერთი და იგივე მწვრთნელით ვიწყებ და ვამთავრებ. აქამდე ასე მოვედითო.

— კი მაგრამ, აშკარად გეტყობათ, „რეალის“ პრეზიდენტთან იდეალურ დამოკიდებულებაში არ ხართ. ამას როგორ ახსნით?

— არ ვიცი, კალდერონს ჰკითხეთ. მე აქ გამარჯვებისთვის დამიძახეს და მოვიგე კიდეც. რაც მევალებოდა, ის სამუშაო პირნათლად შევასრულე.

— ამბობენ, რომ „მალიორკასთან“ გამარჯვების შემდეგ, საჩემპიონო ფიესტის ღამეს კალდერონს თქვენთვის მოგება არ მოულოცავს, პირიქით, მძაფრად იკამათეთ...

— ეს მტკნარი სიცრუეა.

— და, რატომ არ გთავაზობენ თანამშრომლობის გაგრძელებას?

— შეგიძლიათ, ესეც რამონ კალდერონს ჰკითხოთ.

— თქვენი „რეალში“ დარჩენის რა შესაძლებლობები არსებობს?

— ეს იგივეა, მონეტა რომ ააგდო — ან ერთი მხარე დაჯდება, ან მეორე. „რეალში“ დარჩენა ნამდვილად მინდოდა, ჩემპიონთა ლიგის მოგება მსურდა. ესპანეთის დედაქალაქში დასაბრუნებელი თვითმფრინავის ბილეთი უკვე შევიძინე — მადრიდში 19-ში უნდა დავბრუნდე, შეკრება კი 20 ივლისს იწყება.

— თუმც, თუ კალდერონისგან მხარდაჭერა ისევ ვერ იგრძენით...

— მაშინ რა გაეწყობა, ისევ დინების საწინააღმდეგოდ მცურავი კალმახის როლს ვითამაშებ.

— რომ გითხრან, მშვიდობით, თქვენთან თანამშრომლობა აღარ გვინდაო?

— როგორც ესპანეთში იტყვიან ხოლმე, „რეალს“ საპარადო კარიდან დავტოვებ.

— ახალ გუნდს ეძებთ?

— საუკეთესო გუნდებს მწვრთნელები უკვე ჰყავთ, ამიტომაც ვფიქრობ, 1-2 წლით დავისვენო.

— „ბარსაში“ თუ წახვიდოდით სამუშაოდ?

— არასოდეს. ეს მადრიდის „რეალის“ ღალატი იქნება.

— და იტალიის ნაკრების მწვრთნელობა არ გაინტერესებთ?

— იტალიის ნაკრებს რობერტო დონადონი ხელმძღვანელობს. იგი შესანიშნავი მწვრთნელია და თავის სამუშაოს კარგად ასრულებს. დონადონის წარმატებით მოხარული ვარ. ისე, რომელიმე უცხოურ ნაკრებს ვუთავკაცებდი, რომელმაც თავისი მიზნების მისაღწევად უნდა იბრძოლოს.

— კვირას თქვით, რომ კომისარმა როსიმ ორი სკუდეტო წაგვართვა...

— ახლაც ვერ გამიგია, ბოლო ტიტული რატომ წაგვართვეს. ბრალის დასადები ვერაფერი აღმოგვიჩინეს, არადა, ჩემპიონობა „ინტერს“ გადაულოცეს. მე ეს ტიტული მოედანზე, უშელავათო ბრძოლით მოვიგე, ისევე, როგორც ნედვედმა, იბრაჰიმოვიჩმა, ვიეირამ და დანარჩენმა ჩემმა შეგირდებმა. მატჩებისას არც ერთ ჩვენგანს მოედანზე საბრალდებო არაფერი გაგვიკეთებია. გარდა ამისა, შეგვიძლია, არბიტრ დე სანქტისის მიერ დავიდ ტრეზეგეს გოლის გაუქმება გავაპროტესტოთ, რაც „ინტერთან“ სუპერთასის მატჩში მოხდა.

— ტურინში კი ახლაც ამბობენ, რომ თქვენ სერია B-ში ჩაგდებული „იუვედან“ აორთქლდით...

— ერთხელ და სამუდამოდ უნდა გავარკვიოთ, რომ მე არსაიდან, არც „რომადან“ და არც „იუვედან“ არ გავპარულვარ. ორივე შემთხვევაში კლუბები ჩემს კონტრაქტებში არსებული მუხლის გათვალისწინებით დავტოვე. ჩემს საქციელში მიუღებელი არაფერი ყოფილა. მაშინ ჩავთვალე, რომ „იუვეში“ საქმიანობა აღარ უნდა გამეგრძელებინა, რადგანაც ზოგიერთ პიროვნებასთან უამრავი რამ მაკავშირებდა და დღესაც მაკავშირებს.

— ჯანლუიჯი ბუფონი კვლავ იმეორებს, რომ მასთან საუბრისთვის თითქმის არ იცლიდით...

— ბუფონთან ურთიერთობას უფრო მეტ დროს ვუთმობდი, ვიდრე დანარჩენებთან. სანამ „იუვეში“ მივიდოდი, ბუფონს მანამდე, წინა სეზონში ჰქონდა პრობლემები, შემდეგ კი ისევ მსოფლიოს საუკეთესო მეკარე გახდა.

— კიდევ ერთი მოთამაშე, რომელიც თქვენდამი სასიკეთოდ არ იყო განწყობილი, ფრანჩესკო ტოტია...

— მოხარული ვარ, ტოტის გამო. მინდა, გაგახსენოთ, რაც ადრე ვთქვი — ტოტისნაირი ფეხბურთელი უფრო წინ უნდა თამაშობდეს, დასწრებაზე მეტოქისთვის დიდი ზარალის მოტანა შეუძლია. რომში, სადაც ყოველი კაცი თავს ფეხბურთის ექსპერტად თვლის, მადანაშაულებდნენ, ფრანჩესკოს მისთვის შეუფერებელ პოზიციაზე ათამაშებო. ამიტომაც ვულოცავ ტოტის და ლუჩანო სპალეტის, რომელმაც ამ ფეხბურთელის შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოიყენა.

— რომელს ამჯობინებთ, ესპანური პრიმერას თუ ჩემპიონთა ლიგის მოგებას?

— ლიგისას, რადგანაც უფრო მეტი სახელი აქვს.

— თავს ისე გრძნობთ, როგორც კარლო ანჩელოტი, რომელმაც ტიტული მოულოდნელად მოიგო?

— აქ განსხვავება არსებობს. „მილანს“ ხერხემალი მაინც ჰქონდა, „რეალში“ კი ყველაფრის თავიდან დაწყება მოგვიხდა.

— როცა რონალდომ „რეალი“ დატოვა, თქვენს გარდა, ყველას ყოველივე კარგი უსურვა. ხომ არ ნანობთ, კიჭა „მილანში“ რომ გაუშვით?

— აზრის გამოთქმაში ყველა თავისუფალია. მე მხოლოდ იმას შეგახსენებთ, რომ თავდასხმაში რონალდოს და ვან ნისტელროის წყვილით ხუთი მატჩი წავაგეთ. ეს სტატისტიკაა, რონალდოს კი გზას დავულოცავ და წარმატებებს ვუსურვებ.

— ევროპის ყველაზე ძლიერი კლუბი რომელია?

— შემადგენლობის, დონისა და მენტალიტეტის მხრივ, ლონდონის „ჩელსი“.

— კაკას მადრიდის „რეალში“ გადასვლის შანსი თუ არსებობს?

— ეს ზღაპარია.

— უფრო ადვილი ანტონიო კასანოს მორჯულება იქნება?

— კასანომ ტრავმა პრიმერას დასკვნით ეტაპზე მიიღო, რის გამოც ძალიან ვწუხვარ. თუ ამ ფეხბურთელს „რეალში“ დარჩენა უნდა, ჩვენ პრობლემებს არ შევუქმნით.

— ესპანეთში „დაცვაზე გადამკვდარის“ იარლიყი მოგაკრეს. არ წუხდებით, როცა არასიმპათიურ ძიად გთვლიან?

— გატანილ გოლებს და მოგებებს გადახედეთ და დარწმუნდებით, რომ „დაცვაზე გადამკვდარი“ ნამდვილად არ ვარ... ზოგიერთი იტალიელი სპეციალისტის, მაგალითად, არიგო საკის კრიტიკამ კი მართლაც გამაღიზიანა. ხოლო ენცო ბეარზოტიმ შესანიშნავად გამიგო. მინდა, მადლობა ვუთხრა ჩემს მხარდამჭერებს...

# ნუ ჩაიცმევთ გარეთ შელანძღულ ტანსაცმელს!

## ლაპორტა ბარსელონას გაუწყრა



„ბარსელონას“ პრეზიდენტმა ხუან ლაპორტამ სამშაბათის პრესკონფერენციაზე კატალონიური გუნდის მიერ ჩატარებულ სეზონს უფერული უწოდა და აღნიშნა, რომ ფრანკ რაიკარდის ბიჭებმა ჩემპიონობისა და კოპა დელ რეის დაკარგვით გულშემატკივრებს იმედები გაუცრუეს.

„გუნდს მკაცრი ხელი სჭირდება — თქვა ხუან ლაპორტამ — ის, რაც ამ სეზონში მოხდა, აღარ უნდა განმეორდეს, ამისთვის კი დისციპლინის გამტკიცება საჭირო. მიზნის მისაღწევად არაფერს და არავის მოვერიდები. ჩემი მიზანი „ბარსელონას“ გაძლიერებაა“.

პრეზიდენტმა განაცხადა, რომ გუნდის ჩავარდნაში ყველა ერთნაირად არის დამნაშავე — ხელმძღვანელობა, სამწვრთნელო შტაბი, ფეხბურთელები...

„არიან მოთამაშეები, რომლებიც მხოლოდ პატივისცემას იმსახურებენ — ამ სეზონში მათ გმირულად იომეს. არის ხალხი, ვისაც თავი არ გამოუჩენია, თუმცა მათ მიმართ საყვედურს ნამდვილად ვერ ვიტყვი... მაგრამ არიან ისინიც, რომლებმაც ტოტალურად გამიცრუეს იმედები. ამ კატეგორიას ჩვენთან ველარ იხილავთ“ — დაჰპირდა ქომაგებს ლაპორტა.

მედიის კითხვას, შერისხულების გვარებს ხომ ვერ დაგვისახელებთო, პრეზიდენტმა უპასუხა: „გვარებს გასახდელში, მხოლოდ ჩვენი ფეხბურთელების თანდასწრებით დავასახელებ. შელანძღული ტანსაცმელით გარეთ კი არ უნდა ისეირნო, მარტო სახლში უნდა ჩაიცვა“.

„მათრახი“ მწვრთნელს, ფრანკ რაიკარდსაც მოხვდება. „როცა ეტოომ ვილაფრანკაში ხმაურიანი გამოსვლა მოაწყო, ჩვენ რაიკარდს შევთავაზეთ, კამერუნელი სასჯელის სახით რამდენიმე მატჩით ჩამოეშორებინა ფეხბურთიდან. ფრანკმა გვიპასუხა, რომ ეს საჭირო არ იყო. მისი აზრით, მაშინ სიტუაციას აკონტროლებდა. არადა, ფეხბურთელებთან უფრო მკაცრად მოქცევაა საჭირო“ — თქვა კატალონიელთა მთავარმოხელემ.

ლადო ხომერიკი


დიეგო ფორლანი

# ანრი ბარსას მოურიგდა

## არსენალი ფორლანს მიადგა

**ლონდონის** „არსენალმა“ იცის, რომ ტიერი ანრის „ბარსელონაში“ გადასვლის შემდეგ უგოლოდ დარჩენა მოუწევს და „მეთოფეებიც“ მის შემცვლელს ეძებენ.

ესპანური „სპორტის“ ცნობით, „არსენალი“ „ვილიარეალის“ ურუგვაელი ფორვარდით, დიეგო ფორლანითაა დაინტერესებული.

ოკეანისგაღმელმა მოიერიშემ აღნიშნა, ვიცი, რომ ჩემი ყიდვა „ლივერპულს“, „სანდერლენდს“ და კიდევ ერთ ინგლისურ გუნდს უნდა, რომელიც ჯერ ჩემთან კონტაქტზე არ გამოსულაო...

„თუმცა მე „ვილიარეალთან“ კონტრაქტი უკვე გავახანგრძლივე — ამბობს ფორლანი — ხოლო „ყვითლებთან“ ხელშეკრულების ანულირება 22 მილიონი ევრო ღირს“.

რაც შეეხება ანრის და „ბარსას“, საქმე ისე მიდის, რომ დიდი ხნის ნანატრ ფრანგს კატალონია ალბათ ამ ზაფხულს ეღირსება. გაზეთები დაბეჯითებით ამტკიცებენ, ანრიმ „ბარსელონასთან“ წინასწარი ხელშეკრულება უკვე გააფორმა და ახლა მხოლოდ „არსენალთან“ შეთანხმებაღა დარჩაო.

„სპორტის“ ვერსიით, ფრანგი ვარსკვლავი „მეთოფეთა“ ხელმძღვანელობას ფრანკ რაიკარდის გუნდში გადასვლის სურვილს ოფიციალურად რამდენიმე დღეში მოახსენებს.

**ლადო ხომერიკი**



# რეალელებთან მოქეიფე კრუზი

**ტომ კრუზმა** ვინძლო არ იცოდეს, ფეხბურთი რა ხილია, მაგრამ „რეალის“ ჩემპიონობის აღმნიშვნელ ფიესტაზე მადრიდელ მეგობრებთან ერთად გვარიანად მოილხინა.

ამერიკელი კინოვარსკვლავი და „შეუსრულებელი მისიის“, „ჯერი მაგუაირის“, „წვიმის კაცის“, „სამყაროთა ომის“ და სხვა ცნობილი ფილმების მთავარი გმირი მადრიდულ რესტორანში თავის ძმაბიჭ დევიდ ბექჰემთან ერთად მივიდა საქეიფოდ.

ცხადია, იქ „რეალის“ სხვა ფეხბურთელებიც იყვნენ და ამერიკელმა ძალიან გაილაღა. შემდეგ კი შემთვრალმა მიჩელ სალგადოსთან ერთად გალისიური რიანშეირაც იმღერა...

ჰოლივუდელმა „რეალ“ — „მალიორკას“ ჯახს მშვენიერ მეუღლე ქეით ჰოლმსთან, ვიქტორია ადამსთან და ბექჰემის დასთან ერთად უყურა...

**ლადო ხომერიკი**

# კალენდარი? ავდარი!

## ეტოო ყველაზე გაბრაზდა

„**ბარსელონას**“ ვარსკვლავმა სამუელ ეტოომ პრემიერლიგის კლუბებსა და სხვადასხვა ქვეყნის ნაკრებებს შორის ბოლო დროს წამოჭრილ კონფლიქტში აფრიკელებს დაუჭირა მხარი.

კონფლიქტის არსი ასეთია: თუ მომავალ სეზონში დიდიე დროგბა, მიკაელ ესიენი, კოლო ტურე და კიდევ არა ერთი და ორი ვარსკვლავი აფრიკის თასის გათამაშებაში მიიღებს მონაწილეობას, პრემიერლიგის გარკვეული ნაწილის გამოტოვება მოუწევთ, ეს კი ისეთ დიდ ბოსებს, როგორებიც „ჩელსის“ თავკაცი ჟოზე მაურინიუ ან „არსენალის“ თავკაცი არსენ ვენგერი არიან, არა მხოლოდ აწუხებთ, არამედ ანრისხებთ.

26 წლის ეტოო დარწმუნებულია, რომ ფეხბურთელებმა თავიანთი ქვეყნების სახელით აუცილებლად უნდა ითამაშონ და იმავდროულად აკრიტიკებს აფრიკული ფეხბურთის შეფებს, რომელთაც შეჯიბრება ევროპული სეზონის შუაში დანიშნეს.

„პრობლემა მართლაც ძალიან სერიოზულია — ამბობს კამერუნელი — ოღონდ არა მგონია, მისი გასაღები ნაკრებთა და კლუბთა შეფებთან იყოს, ვფიქრობ, საკითხი იმ ხალხმა უნდა მოაგვაროს, ვინც კალენდრის შედგენაზეა პასუხისმგებელი. საჭიროა, წელიწადი ისე დაიგეგმოს, რომ როგორც ნაკრებების, ასევე კლუბების ხელმძღვანელები, კმაყოფილნი დარჩნენ. პირადად ჩემთვის ნებისმიერი თამაში, თუნდაც ამხანაგური, მნიშვნელოვანია. ჩემი ქვეყნის სახელით ოფიციალურ შეხვედრებშიც მემაყება გამოსვლა და ამხანაგურებშიც. მოედანზე ყოველთვის საუკეთესონი უნდა იყვნენ, ამა თუ იმ შეჯიბრებაში მათი რაოდენობის შეზღუდვა სისულელეა“.

**ბაჩუნა ქედია**



# ლაუდრუპი ხეტაფეში

**მიქაელ ლაუდრუპმა** უელვას „რეკრეატივოს“ მწვრთნელობა იუარა და ახლა სახელგანთქმულ დანიელთან კონტრაქტის გაფორმებაზე მადრიდული „ხეტაფე“ ზრუნავს.

დანიური გაზეთების აზრით, მიქაელის სამომავლო კლუბი სწორედ „ხეტაფეა“, თუმცა სკანდინავი კაცის დამრიგებლობაზე არც „ლურჯების“ პრეზიდენტი ანხელ ტორესი ამბობს რამეს და თავად ლაუდრუპიც დუმილს ამჯობინებს.

ლაუდრუპს ადრე სხვა ესპანური გუნდები, „რასინგი“, „ბეტისი“, „დეპორტივო“ და „სელტა“ ეპატიჟებოდნენ. „ხეტაფეს“ ამჟამინდელი თავკაცი კი გერმანელი ბერნდ შუსტერია, რომელიც 23 ივნისის კოპა დელ რეის ფინალის შემდეგ მადრიდის „რეალთან“ ხელშეკრულებას ოფიციალურად გააფორმებს.



„ლურჯების“ სამომავლო თავკაცებად მარსელინო გარსია ტორალს, ხოაკინ კაპაროსს, ხოსე ანტონიო კამაჩოს, ვისენტე დელ ბოსკესა და ხავიერ აგირეს ასახელებდნენ, თუმცა პრეზიდენტმა ლაუდრუპი არჩია.

**ლადო ხომერიკი**

# მალიორკას პრემიამ გასახდელში მოიმატა

**რამდენს** მიიღებდა „მალიორკა“ პრიმერადივიზიონის ბოლო ტურში „რეალთან“ გამარჯვებისთვის?

აწ უკვე ისტორიად ქცეულ 2006-07-ის ლა ლიგის დასკვნით ტურზე იმდენი ითქვა და დაიწერა, ვებ თავი შეგაწყინეთ, თუმცა მაინც შეგახსენებთ — „რეალს“ რომ „ბერნაბეუზე“ კუნძულელებთან წაეგო, ან თუნდაც ფრე ეთამაშა და კონკურენტ „ბარსას“ წყალწაღებული „ხიმნასტიკი“ დაემარცხებინა (ზუსტად ასეც მოხდა), ჩემპიონობას კატალონიელები იზეიმებდნენ.

ამიტომაც იყო ესპანეთში მეტად აქტუალური „მალიორკას“ პრემიების თემა.

ამბობდნენ, რომ სამეფო გუნდთან ფრის შემთხვევაში, კუნძულელები 600 ათასი ევროთი დაჯილდოვდებოდნენ. ახლა კი ირკვევა, რომ გრეგორიო მანზანოს გუნდი თუ მოიგებდა, მილიონ ორას ათას ევროს ჩაიჯიბავდა...

„სანტიაგო ბერნაბეუს“ ნერვებისდამწყვეტი მატჩის პირველი ტაიმი მართლაც „მალიორკამ“ მოიგო. ტაბლოზე 0:1 ენთო და მანსანოს ბიჭებმა გასახდელს მშვენიერ განწყობაზე მიაშურეს. იქ კი სიურპრიზი ელოდათ — მავანმა საქმიანმა კაცმა, რომლის ვინაობაც გასაიდუმლოებულია, „მალიორკას“ წარმომადგენელს დაურეკა და აცნობა, რომ თუ ბალეარელები მატჩს მოიგებდნენ, კიდევ ორას ათას ევროს მიიღებდნენ.

თუმცა სასწაული არ მოხდა და ბოლო რამდენიმე შეხვედრაში ფრთაშესხმულმა და გონსმოსულმა „რეალმა“, „ბერნაბეუზეც“ ივაჟკაცა — სამი გოლი შეაგდო, მეტოქეს აღარ გაატანინა და ჩემპიონობაც იზეიმა.

„მალიორკამ“ პრემია დაკარგა, რომლის კვალიც, როგორც მადრიდში აცხადებენ და ალბათ ასეც იყო, კატალონიიდან მოდიოდა...

**ლადო ხომერიკი**



## კანუტს პრემიერლიგა უნდა

**ფრედერიკ კანუტის** აგენტმა კრისტოფ მონგაიმ „დეილი სტართან“ განაცხადა, რომ მის კლიენტს პრემიერლიგაში დაბრუნება უნდა. „სევილიას“ მალელ ფორვარდს „პორტსმუთი“ ეპატიჟება.

„ფრედის ინგლისში თამაში სურს, „პორტსმუთის“ მწვრთნელ ჰარი რედნაპს კი ძალიან კარგად იცნობს „ვესტ ჰემიდან“ — თქვა მონგაიმ.

შეგახსენებთ, რომ კანუტი „სევილიამდე“ „ვესტ ჰემში“ და „ტოტენჰემში“ იყო.

## ბაბიჩი ბეტისელია

„**ლევერკუზენის**“ ხორვატი ნახევარმცველი მარკო ბაბიჩი თავისუფალი აგენტის სტატუსით „ბეტისში“ გადავიდა — წერს „კიკერი“.

26 წლის ფეხბურთელმა სევილიურ კლუბთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

ბაბიჩი „ბეტისს“ ამ თვის ბოლოს შეუერთდება.

## ივანი კიდევ ორი წლით

„**ესპანიოლის**“ ნახევარმცველმა ივან დე ლა პენიამ კონტრაქტი ორი წლით გაახანგრძლივა და ბარსელონულ კლუბში 2009-ის ივნისამდე ითამაშებს. იგი „ესპანიოლში“ 2002 წელს „ლაციოდან“ გადავიდა. გასულ სეზონში ესპანეთის თასი მოიგო, წლეულს კი უეფას თასის ფინალში „სევილიასთან“ დამარცხდა.

**ვაჟა ხუციშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | იტალია. სერია B | | | | | | |
| | | 21 ივნისი | | | | | | |
| 21:00 | 152 | ვერონა-სპეცია | 1.65 | 3.10 | 4.20 | 1.07 | 1.18 | 1.78 |
| | | რუსეთი | | | | | | |
| | | 22 ივნისი | | | | | | |
| 19:00 | 2 | სპარტაკი მ-სატურნი | 1.55 | 3.30 | 5.30 | 1.05 | 1.19 | 2.03 |
| | | 23 ივნისი | | | | | | |
| 18:30 | 3 | დინამო მ-როსტოვი | 1.60 | 3.10 | 5.00 | 1.05 | 1.21 | 1.91 |
| 12:00 | 4 | ენერგია-ხიმკი | 1.60 | 3.10 | 5.00 | 1.05 | 1.21 | 1.91 |
| 21:00 | 5 | კუბანი-რუბინი | 2.30 | 2.70 | 3.10 | 1.24 | 1.32 | 1.44 |
| | | 24 ივნისი | | | | | | |
| 16:00 | 6 | ამკარი-მოსკოვი | 2.60 | 2.50 | 2.75 | 1.27 | 1.33 | 1.30 |
| 14:00 | 7 | კრილია-ცსკა მ | 3.10 | 2.90 | 2.10 | 1.49 | 1.25 | 1.21 |
| 13:00 | 8 | ტომსკი-ლოკომოტივი მ | 2.80 | 2.70 | 2.45 | 1.37 | 1.30 | 1.28 |
| 19:00 | 9 | ზენიტი-ნალჩიკი | 1.30 | 3.90 | 7.50 | 1.00 | 1.10 | 2.56 |
| | | ნორვეგია. ტიპელიგა | | | | | | |
| | | 21 ივნისი | | | | | | |
| 20:30 | 24 | სტარტი-ოდ გრენლანდი | 1.55 | 3.50 | 4.80 | 1.07 | 1.17 | 2.02 |
| 22:30 | 25 | რუსენბორგი-ლილესტრიომი | 1.90 | 3.20 | 3.35 | 1.19 | 1.21 | 1.63 |
| | | შვედეთი. სუპერეტა | | | | | | |
| | | 21 ივნისი | | | | | | |
| 21:00 | 60 | დეგერფორსი-ფალკენბერგი | 1.85 | 3.30 | 3.55 | 1.18 | 1.21 | 1.71 |
| 21:00 | 61 | იონკოპინგი-ლანდსკრონა | 2.45 | 3.20 | 2.45 | 1.38 | 1.22 | 1.38 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 62 | ლიუნგსკილე-იოსტერსი | 2.45 | 3.20 | 2.45 | 1.38 | 1.22 | 1.38 |
| | | ირლანდია | | | | | | |
| | | 22 ივნისი | | | | | | |
| 22:45 | 69 | ბრეი-სტ.პატრიკსი | 3.30 | 3.10 | 1.90 | 1.59 | 1.20 | 1.17 |
| 22:45 | 70 | დერი-დროგედა | 2.25 | 3.00 | 2.85 | 1.28 | 1.25 | 1.46 |
| 22:45 | 71 | გალვეი-შემროკი | 2.55 | 3.10 | 2.35 | 1.39 | 1.22 | 1.33 |
| 22:45 | 72 | დუბლინი-სლიგო | 1.90 | 3.10 | 3.45 | 1.17 | 1.22 | 1.63 |
| | | აშშ | | | | | | |
| | | 21 ივნისი | | | | | | |
| 23:45 | 95 | ჰიუსტონი-ჩივასი | 1.95 | 3.20 | 3.10 | 1.21 | 1.19 | 1.57 |
| | | ევ. შესარჩევი მატჩები | | | | | | |
| | | (21) ჰოლანდია | | | | | | |
| | | 21 ივნისი | | | | | | |
| 22:45 | 157 | იტალია 21-პორტუგალია 21 | 2.15 | 3.00 | 2.80 | 1.25 | 1.21 | 1.44 |
| | | ესპანეთი. თასი | | | | | | |
| | | 23 ივნისი | | | | | | |
| 23:45 | 111 | სევილია-ხეტაფე (ნ) | 1.80 | 3.20 | 3.65 | 1.15 | 1.20 | 1.70 |
| | | ოქროს თასი 2007 (აშშ) | | | | | | |
| | | 21 ივნისი | | | | | | |
| 23:45 | 153 | კანადა-აშშ | 5.85 | 3.80 | 1.35 | 2.30 | 1.09 | 1.00 |
| 23:45 | 158 | მექსიკა-გვადელუპა | 1.30 | 3.90 | 6.80 | 1.00 | 1.09 | 2.47 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10024 | სტარტი-ოდ გრენლანდი | 1.85 | 2.20 | 5.00 | 1.00 | 1.35 | 1.52 |
| 10025 | რუსენბორგი-ლილესტრიომი | 2.25 | 2.10 | 3.60 | 1.08 | 1.38 | 1.32 |
| 10060 | დეგერფორსი-ფალკენბერგი | 2.20 | 2.10 | 3.80 | 1.07 | 1.39 | 1.35 |
| 10061 | იონკოპინგი-ლანდსკრონა | 2.70 | 2.00 | 2.70 | 1.14 | 1.35 | 1.14 |
| 10062 | ლიუნგსკილე-იოსტერსი | 2.70 | 2.00 | 2.70 | 1.14 | 1.35 | 1.14 |
| 10153 | კანადა-აშშ | 6.00 | 2.20 | 1.55 | 1.60 | 1.23 | 1.00 |
| 10157 | იტალია 21-პორტუგალია 21 | 2.65 | 2.00 | 3.40 | 1.13 | 1.48 | 1.25 |
| 10158 | მექსიკა-გვადელუპა | 1.50 | 2.30 | 7.00 | 1.00 | 1.23 | 1.73 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11024 | სტარტი-ოდ გრენლანდი | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11025 | რუსენბორგი-ლილესტრიომი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11060 | დეგერფორსი-ფალკენბერგი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11061 | იონკოპინგი-ლანდსკრონა | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11062 | ლიუნგსკილე-იოსტერსი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11153 | კანადა-აშშ | 8.00 | 10.00 | 20.00 | 9.00 | 4.80 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.20 |
| 11157 | იტალია 21-პორტუგალია 21 | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11158 | მექსიკა-გვადელუპა | 1.65 | 15.00 | 30.00 | 3.50 | 5.00 | 11.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი ჩაითვლება წაგებულად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14024 | სტარტი-ოდ გრენლანდი | 1.30 | 2.50 |
| 14025 | რუსენბორგი-ლილესტრიომი | 1.70 | 2.20 |
| 14060 | დეგერფორსი-ფალკენბერგი | 1.65 | 2.30 |
| 14061 | იონკოპინგი-ლანდსკრონა | 1.85 | 1.95 |
| 14062 | ლიუნგსკილე-იოსტერსი | 1.85 | 1.95 |
| 14153 | კანადა-აშშ | 2.60 | 1.20 |
| 14157 | იტალია 21-პორტუგალია 21 | 1.75 | 2.10 |
| 14158 | მექსიკა-გვადელუპა | 1.08 | 2.90 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12024 | სტარტი-ოდ გრენლანდი | 1.90 | 1.55 |
| 12025 | რუსენბორგი-ლილესტრიომი | 1.95 | 1.50 |
| 12060 | დეგერფორსი-ფალკენბერგი | 1.90 | 1.55 |
| 12061 | იონკოპინგი-ლანდსკრონა | 1.80 | 1.60 |
| 12062 | ლიუნგსკილე-იოსტერსი | 1.80 | 1.60 |
| 12153 | კანადა-აშშ | 1.60 | 1.80 |
| 12157 | იტალია 21-პორტუგალია 21 | 1.50 | 2.00 |
| 12158 | მექსიკა-გვადელუპა | 1.80 | 1.60 |

### ფრის გარეშე (ძირ. დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16024 | სტარტი-ოდ გრენლანდი | 1.17 | 4.10 |
| 16025 | რუსენბორგი-ლილესტრიომი | 1.34 | 2.80 |
| 16060 | დეგერფორსი-ფალკენბერგი | 1.32 | 3.00 |
| 16061 | იონკოპინგი-ლანდსკრონა | 1.75 | 1.85 |
| 16062 | ლიუნგსკილე-იოსტერსი | 1.75 | 1.85 |
| 16153 | კანადა-აშშ | 3.60 | 1.23 |
| 16157 | იტალია 21-პორტუგალია 21 | 1.52 | 2.20 |
| 16158 | მექსიკა-გვადელუპა | 1.08 | 5.00 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15024 | სტარტი-ოდ გრენლანდი | 2.70 | 2.70 | 2.00 |
| 15025 | რუსენბორგი-ლილესტრიომი | 2.70 | 2.70 | 2.00 |
| 15060 | დეგერფორსი-ფალკენბერგი | 2.70 | 2.70 | 2.00 |
| 15061 | იონკოპინგი-ლანდსკრონა | 2.70 | 2.70 | 2.00 |
| 15062 | ლიუნგსკილე-იოსტერსი | 2.70 | 2.70 | 2.00 |
| 15157 | იტალია 21-პორტუგალია 21 | 2.70 | 2.70 | 2.00 |

### გოლი: ლუწი-1 თუ კენტი-2 (0:0 ითვლება ლუწად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17024 | სტარტი-ოდ გრენლანდი | 1.85 | 1.95 |
| 17025 | რუსენბორგი-ლილესტრიომი | 1.85 | 1.95 |
| 17060 | დეგერფორსი-ფალკენბერგი | 1.85 | 1.95 |
| 17061 | იონკოპინგი-ლანდსკრონა | 1.85 | 1.95 |
| 17062 | ლიუნგსკილე-იოსტერსი | 1.85 | 1.95 |
| 17153 | კანადა-აშშ | 1.85 | 1.95 |
| 17157 | იტალია 21-პორტუგალია 21 | 1.85 | 1.95 |
| 17158 | მექსიკა-გვადელუპა | 1.85 | 1.95 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13153 | კანადა-აშშ | 1.90 | 1.60 |
| 13157 | იტალია 21-პორტუგალია 21 | 1.90 | 1.60 |
| 13158 | მექსიკა-გვადელუპა | 1.90 | 1.60 |

## შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალგაზრდული ფილოსოფია: ირანი არ გვაინტერესებს, უკრაინა გვჭირდება

**საქართველოს** ახალგაზრდულ ნაკრებს დღეს პირველი გამოცდა ელის. არავინ იცის, რა შეძლების გუნდია ირანის 19-წლამდელთა ნაკრები, თუმც დავით უსტიაშვილის სამწყსოსთვის ნახევართვიანი ვარჯიშის შემდეგ ეს პირველი მატჩი იქნება. ირანელები თბილისში გუშინწინ ჩამოვიდნენ და ქართველებთან, ორი ამხანაგური მატჩის გამართვას გეგმავენ. პირველი დღეს, „დინამოს“ საწვრთნელ ბაზაზე, საღამოს 7 საათზე ჩატარდება. მეორე შეხვედრა შედგება თუ არა, ჯერ გაურკვეველია. ისე, რუსთავშია დაგეგმილი.

გუშინ კაფე „მსოფლიოს სპორტში“ ჩვენი ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელებმა პრესკონფერენცია გამართეს და მედიას გუნდში არსებული ვითარება გააცნეს.

**დავით უსტიაშვილი:** 4 ივნისიდან ინტენსიურად ვვარჯიშობთ, თუმც ჯერ არ ვართ იდეალურ ფორმაში. ვფიქრობ, ამხანაგური მატჩების შემდეგ სრულ მზადყოფნაში ვიქნებით. ახლა სათამაშო პრაქტიკა ფაქტობრივად არ გვაქვს. ირანისა და უკრაინის ნაკრებებთან თამაშების შედეგს არანაირი მნიშვნელობა არ ექნება. ამ შეხვედრებს კომბინაციებისა და ტაქტიკის დასახვეწად გამოვიყენებთ...

— ჩვენ არ ვიცნობთ ირანის ნაკრებს, თუმც, როგორც აღვნიშნეთ, ამ შეხვედრას სავარჯიშო ხასიათი ექნება და ჩვენც თავი არ შევიწუხეთ მათ ვარჯიშზე მისვლით. ირანში ახალგაზრდული ნაკრების ლიმიტი 19 წელია, ანუ ჩვენი მეტოქე ერთი წლით ახალგაზრდაა...



დავით უსტიაშვილი და გელა წულაძე

— ამჟამად ნაკრებში 14 კანდიდატი ვარჯიშობს, დღე-დღეზე ველოდებით ლაშა ფარლალავას, რომელმაც ამერიკაში გამოცდა ჩააბარა და მალე შემოგვიერთდება. უკრაინაში 27-ში მივდივართ, სადაც სამ ამხანაგურ მატჩს გავმართავთ იქაურ ახალგაზრდულ ნაკრებთან. ამ თამაშებს დიდი მნიშვნელობა ექნება ჩვენი გუნდის ტაქტიკის საბოლოო განსაზღვრისთვის. უკრაინა, მიუხედავად იმისა, რომ B დივიზიონშია, საკმაოდ ძლიერი გუნდია და დაახლოებით იმ სტილის კალათბურთს თამაშობს, როგორსაც ჩვენი საევროპოსჩემპიონატო მეტოქე ბულგარეთი. აქედან გამომდინარე, უკრაინელებთან სპარინგი ძალიან წაგვადგება...

— რაც შეეხება ახალგაზრდული ნაკრების იმ წევრებს, რომლებიც ეროვნულ გუნდშიც არიან გამოძახებულნი, მათ საკუთარი ძალა ჯერ 20-წლამდელებში უნდა დაამტკიცონ. უკრაინიდან 2 ივლისს ვბრუნდებით და ალბათ 4-ში უკვე სლოვენიაში გავემგზავრებით ევროპის ჩემპიონატზე. ამ დროისთვის ეროვნულის თავკაცი გორდონ ჰერბერტი უკვე თბილისში იქნება და შესაძლოა, ის ჩვენს ვარჯიშსაც დაესწროს, რათა თავისი გუნდის კანდიდატებს, რევაზ დიდიასა და მიხეილ ბერიშვილს დააკვირდეს...

**გელა წულაძე**, ახალგაზრდული ნაკრების მეორე მწვრთნელი:

— ამ ეტაპზე ჩვენი გუნდი საკმაოდ მოლონიერებულია, თუმცა გეგმის მიხედვით ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს მოსამატებელი. როგორც ვვარაუდობთ, ევროპის ჩემპიონატის პირველი მატჩისთვის ფორმის პიკზე უნდა ვიყოთ...

შეგახსენებთ, რომ ჩვენს ნაკრებს ჯგუფში ბულგარეთის გარდა მეტოქეებად ლატვია და იტალია ეყოლება. საუკეთესო სამეული ჯგუფიდან გადის, რაც თავისთავად A დივიზიონში ადგილის შენარჩუნებას ნიშნავს. ბოლოადგილოსანი კი უძლიერესებში დასარჩენად სხვა ჯგუფების მაჩანჩალებს შეებრძოლება.

**ირაკლი პერტაია**

# კომპრომატები კობიზე

## ბრაიანტს ლეიკერსი ყელში ამოუვიდა



ფილ ჯექსონისა და კობი ბრაიანტის გზები ალბათ მალე გაიყრება

**კობი ბრაიანტსა** და მის კლუბ „ლოს ანჯელეს ლეიკერსს“ შორის ატეხილი სკანდალი არ ცხრება და ალბათ არც ჩაცხრება, სანამ კალათბურთელი თავისას არ გაიტანს და სხვაგან არ გადაბარგდება. მოთამაშისგან სხვა გუნდში გაცვლის მოთხოვნა ალბათ ამხელა ხმაურს არ გამოიწვევდა, ბრაიანტის ადგილზე ვინმე სხვა რომ ყოფილიყო, ანდა მოვლენები არალოს ანჯელესში, არამედ რომელიმე მყუდრო ქალაქში განვითარებულიყო. მაგრამ ეს ყველაფერი ხომ ჰოლივუდის შორიახლო ალაგეზე ხდება და მოვლენების ეპიცენტრში ის მოთამაშეა, რომელიც არაერთხელ გახვეულა მსგავს და ბევრად უფრო ხმაურიან სკანდალებშიც.

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ბრაიანტმა 30 მაისს, მისი გუნდის პლეი ოფიდან გამოვარდნის შემდეგ რამდენიმე დღეში სხვაგან გაშვება ითხოვა და თქვა, „ლეიკერსში“ ცხოვრებაში აღარ ვითამაშებო. მეორე დღეს კი მწვრთნელ ფილ ჯექსონთან საუბრის შემდეგ ჩვენება შეცვალა, მთელი ნბა-ური კარიერა „ლეიკერსში“ გავატარე და კარგი იქნება, თუ დავრჩებიო. მაგრამ ჩანს, ბრაიანტს საბოლოოდ „დიდმა ფილმაც“ ვერ მოუტრიალა გული მშობლიური გუნდისკენ და რამდენიმე დღის შემდეგ „ლეიკერსის“ ლიდერი და სახე ძველებურად აჭიკჭიკდა. კობი ბარსელონაში კლუბის მფლობელ ჯერი ბასს შეხვდა და მიუხედავად იმისა, რომ მისგან გუნდის ხელახლა აღორძინების გეგმები მოისმინა, მაინც დაიჟინა სადმე სხვაგან წასვლის სურვილი. ბრაიანტი ისე ჯიუტად ამბობს ფრაზას „სადმე სხვაგან“, რომ მგონი, ნბა-ს უკანასკნელ გუნდში გადასვლაზეც არ იტყვის უარს, ოღონდ „ლეიკერსს“ მოშორდეს.

საინტერესოა, ასეთი რა აწყენინეს?

ჯერი ბასი კი კვლავ განაგრძობს ჟურნალისტების დარწმუნებას, რომ კობი ბრაიანტი მათი გუნდის ქვაკუთხედი, აწმყო და მომავალია და „ლეიკერსი“ მის გაშვებას არ აპირებს.

სულ ახლახან პრესას ერთი ინფორმაცია ჩაუვარდა. თურმე არსებობს ვიდეოკომპრომატი, რომელშიც ბრაიანტი, რბილად რომ ვთქვათ, აუგად მოიხსენიებს „ლეიკერსის“ გენ-მენეჯერ მიჩ კუპჩაკს და რატომღაც ლანძღავს გუნდის ახალგაზრდა ცენტრ ენდრიუ ბინამსაც.

„ჯერ კიდევ მანამდე, სანამ ბრაიანტი პრესაში პირველად გამოთქვამდა ჩვენგან წასვლის სურვილს, კლუბის ოფისში ანონიმურმა პირმა დარეკა და თქვა, რომ ეს ვიდეომასალა ჰქონდა და მისი გაყიდვა უნდოდა — ამბობს კლუბის პრესწარმომადგენელი ჯონ ბლეკი — ჩვენ ვუთხარით, რომ არ გვაინტერესებდა და არ ვაპირებდით მის ყიდვას. მას შემდეგ აღარავის დაურეკავს მსგავსი წინადადებებით.“

ჩანს, „ლეიკერსის“ პრესწარმომადგენელმა ველარ უარყო ამ კომპრომატის არსებობა, თორემ კლუბი ყველანაირად ცდილობს, სკანდალი ჩააცხროს. ყველა ოფიციალური პირი ერიდება ბრაიანტის მისამართით რამე მკვეთრის თქმას. „ვფიქრობ, ისედაც ზედმეტად ბევრი ითქვა“ — ამბობს მიჩ კუპჩაკი.

ამ ამბის მთავარმა გმირს კი როცა ამ ვიდეოს არსებობაზე ჰკითხეს, ისეთი სახე მიიღო, თითქოს ცხოვრებაში არასდროს წასცდენოდეს ვინმეზე რამე გადაბრუნებული სიტყვა. „თქვენ რა, მეხუმრებით?! ვისზე რა უნდა მეთქვა?“ — იოცებს ბრაიანტი.

საზოგადოებაში კი თანდათან მომწიფდა ერთი სურვილი: თუ კამერის წინ ბრაიანტმა მართლა თქვა იმის მსგავსი რამ, რაზეც ლაპარაკია, ყველას უნდა მისი ნათქვამის მოსმენა. ასე რომ, „კობის“ და „ლეიკერსის“ თემა არ ამოწურულა და ალბათ არც ამოიწურება, სანამ ეს ორი სუბიექტი ერთმანეთთან კავშირში იქნება.

**კოტე ყორშია**

## ნენეს ბრაზილია და პეკინი უნდა



„**დენვერის**“ ბრაზილიელმა ფორვარდმა ნენე ილარიომ განაცხადა, რომ მზადაა, თავისი ქვეყნის ეროვნულ გუნდში ითამაშოს და მას 2008 წლის ოლიმპიადაზე გასვლაში დაეხმაროს. ილარიოს ბრაზილიის კალათბურთის ფედერაციასთან კონფლიქტი ჰქონდა და 4 წელი ნაკრებში არ უთამაშია, თუმცა... „მე არაერთხელ მილაპარაკია ამის თაობაზე ოჯახის წევრებთან და თანაგუნდელებთან და ვფიქრობ, უკვე მოვიდა დრო, რომ ნაკრებში ვითამაშო. ბედნიერი ვიქნები, თუკი ბრაზილია ოლიმპიადაზე მოხვდება.

საოლიმპიადო შესარჩევი ტურნირი 22 აგვისტოდან 2 სექტემბრამდე ლას ვეგასში გაიმართება და იქ პეკინის საგზურს ორი საუკეთესო გუნდი მიიღებს.

## მეფეთ მეფე რეჯი ტეუსი

„**საკრამენტო კინგსმა**“ როგორც იქნა მონახა მწვრთნელი. აპრილში „მეფეებმა“ ცუდი შედეგებისთვის ერიკ მუსელმანი დაითხოვეს, რომლის შემცვლელსაც გუშინდლამდე ეძებდნენ და იპოვეს. რეჯი ტეუსი ნბა-ში ცნობილია, როგორც მოთამაშე. მან 13 სეზონი გაატარა პროფესიულ ლიგაში და მას მერე სტუდენტურ კალათბურთში მოღვაწეობდა. ახალი სეზონიდან ის „საკრამენტოს“ უთავკაცებს და ამ გუნდის პლეი ოფში გაყვანას ეცდება.

## სლოუნს კირილენკო არ ეთმობა

„**იუტა ჯაზის**“ თავკაცმა ჯერი სლოუნმა განაცხადა, რომ რუს ფორვარდ ანდრეი კირილენკოს ვერ შეელევა და მიუხედავად იმისა, რომ ამ კალათბურთელს გუნდიდან წასვლა უნდა, მის გაშვებას არ აპირებს. „მე დაინტერესებული ვარ კირილენკოთი და საერთოდ, გაცვლები არ მიყვარს — ამბობს ჯერი სლოუნი — კირილენკო გუნდში დარჩება, თუმც მან უნდა დაამტკიცოს, რომ უმაღლეს დონეზე თამაში შეუძლია. ვიცი, მას დიდი პოტენციალი აქვს და თუ მოინდომებს, ძალიან დაგვეხმარება.“

## გრინის მუხლი

„**ფილადელფიას**“ უკანახაზელმა უილი გრინმა მარჯვენა ფეხის მუხლზე ოპერაცია გაიკეთა და ახლა სარეაბილიტაციო პერიოდი უდგას. როგორც ექიმები ვარაუდობენ, გრინი მწყობრში ოქტომბერში, ზედ ახალი სეზონის წინ ჩადგება.

## ლინდსი ჩემპიონის შტაბში

„**ჰიუსტონის**“ სამწვრთნელო შტაბში 11 სეზონის გამტარებელი დენის ლინდსი ტეხასურსავე „სან ანტონიოში“ გადაბარგდა. ის ჩემპიონთა ვიცე-პრეზიდენტი და გენერალური მენეჯერის თანაშემწე იქნება. ადრე ამ პოსტზე სემ პრესტი მუშაობდა, რომელიც „სიეტლის“ გენმენეჯერი გახდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემპიონები

## სურათები სან ანტონიოდან






### ეს არაა ვენეცია

შუა ქალაქში არხი მოედინება და გონდოლაც მოცურავს მხიარული გოგო-ბიჭებით. შემთხვევით ვენეცია ხომ არაა? არხზე გადაჭდობილი თაღიანი ხიდებიც ზუსტად ვენეციურია... მაგრამ ვენეციაში ცათამბჯენებს რა უნდა?! თანაც არხიც მხოლოდ ერთია და ერთიანად მწვანეში ჩაძირულა. მზე უფრო მწველია, ვიდრე ჩრდილოეთ იტალიაში და ჰაერიც ნაკლებად ტენიანია.

არა, ნამდვილად არაა ვენეცია. იქ ამდენი ხალხი ერთად მხოლოდ კარნავალის დროს თუ იკრიბება, აქ კი ყველაფერს სპორტული ზეიმის ელფერი დაჰკრავს. ყველა შავით და ვერცხლისფერით მოსირმული თეთრი მაისურებითაა ზურგზე და გულზე უზარმაზარი ნომრებით — „20“, „21“, „9“, „12“... ასიათასობით ადამიანი მისწყდომია არხს. ვინც ტირიფების ჩრდილში დილიდან დაიკავეს ადგილი წყლისპირა ღია კაფეებში, ისინი პირველი რიგიდან უყურებენ და ესალმებიან ქალაქის უპოპულარულეს ადამიანებს, სხვები კი უწყვეტ ცოცხალ კედლად აღმართულან ნაპირზე და ცდილობენ, მადლიერება დაუნანებლად გამოხატონ გონდოლაზე გალიმებული იმ ახმახი ბიჭების მიმართ, რომელთაც ამ ზღვა ხალხს ზღვა სიხარული აჩუქეს. ქალაქი თავის გმირებს ესალმება. ისმის ინგლისური და ხშირად ესპანური შეძახილები და დიდი და პატარა ხალისით პასუხობს კითხვებზე:

— ეს ჩვენი ერთადერთი გუნდია! ქალაქში სხვა არ გვყავს! ჩვენ ყველანი ვგიჟდებით ამ ბიჭებზე! — შავ-თეთრ-ვერცხლისფერში გამოწყობილი მავანი ქალბატონი, 48 წლის დიანა ესპინოზა ორი წამის წინ გონდოლას ხელს უქნევდა, ახლა კი მიკროფონში ბედნიერებისგან ალაყლაყებული ჩაჰყვირის.

— ტიმი ყველაზე მაგარია! — ყვირის პატარა ბიჭუნა.

— მე შენ მიყვარხარ, მანუ!..

— მსოფლიოში არ არსებობს პოპზე ჭკვიანი მწვრთნელი...

— წმინდა ანტონიო, შენ დაიფარე ჩვენი გუნდი!

ეს არაა არც ვენეცია და არც ვენესუელა. ეს სან ანტონიოა, ოაზისი სამხრეთ ტეხასის მცხუნვარე ნახევარუდაბნოში.

### ალმები ალამოს პირას

ამ ადგილებში ყოველთვის როდი გაიგონებდით ინგლისურს. ამერიკის ზოლებიან დროშამდე იქ სამფეროვანი მექსიკური ფრიალებდა გულში თავისი არწივით და კაქტუსით. მანამდე — ესპანური წითელ-ყვითელი, უფრო ადრე კი, ასე ხუთი საუკუნის წინ, იქ ადამიანები უდროშოდაც გადასარევად ცხოვრობდნენ (იხილეთ მელ გიბსონის „აპოკალიფტო“).

სრულიად ახალგაზრდა, მაგრამ საკუთარ ძალებსა და დაუსჯელობაში სავსებით დარწმუნებულმა ამერიკამ ერთ მშვენიერ დღეს გაილვიძა, გაიზმორა, მიმოიხედა და ოდნავ უფროს, მაგრამ ჩია მეზობელ მექსიკის მიწებს დაადგა თვალი. ატყდა ერთი ამბავი. ბრძოლების კი არა, ომების სათვალავი დაიკარგა. მთელი მე-19 საუკუნე ისროდნენ. ერთი ასეთი ომის დროს სან ანტონიოს მიდამოებშიც მიაგორეს ცხენებით ზარბაზნები. 1824 წელს იქ მდინარე ალამოს პირას ერთ ძველ მექსიკურ შენობაში გამაგრდნენ მტრისგან უკანდახეული „იანკები“ და ტყვიაწამალი რომ გაუთავდათ, დანებით და კბილებით იცავდნენ უკანასკნელ ბლოკ-პოსტს.

ჩვენს დროში დენთის სუნი გაიფანტა და ადამიანები ერთმანეთს თავიანთ აღმატებას და უპირატესობას ხიშტების ნაცვლად ბურთით უფრო უმტკიცებენ. ტყვიებით დაცხრილული იმ შენობის ახლოს დგას „სან ანტონიო სფურზის“ ძველი დარბაზი „ალამოდოუმი“, რომელშიც „დეზები“ კარგა ხანს მასპინძლობდნენ მოწინააღმდეგეებს და ცდილობდნენ, ისინი იქიდან გაწბილებულები გაეშვათ. ზოგჯერ გამოსდიოდათ, ზოგჯერ — ვერა. ახლა მათ ახალი დარბაზი აქვთ — „AT&T სენთერი“, რომელიც არა 40 ათასს, არამედ ამის ნახევარზე ნაკლებ გულშემატკივარს იტევს და სრულიადაც განსხვავდება „ალამოდოუმისგან“, მაგრამ ძველ და ახალ დარბაზებს ბევრი საერთო ჰქონდათ, პირველ რიგში კი, მხურვალე, ორენოვანი ქომაგობა. ათეულობით ათასი გულანთებული გულშემატკივარი „დეზებს“ ამხნევებს ესპანურ და ინგლისურ ენებზე. სან ანტონიოში თანაბრად უყვართ ტიმ დანკანიც და მანუ ჯინობილიც, და „დეზებმაც“ იციან, რომ მათი თამაში, მათი წარმატება, მათი არსებობა სულერთი არ არის სულ ცოტა ორი მილიონი ადამიანისთვის და ამ ორ მილიონში ყველანაირი ასაკის, სქესის, სოციალური ფენის და ეთნიკური ჯგუფის ხალხია. იქ ეს გუნდი ყველას აერთიანებს. იქ ტეხასია და უფრო სხვაგვარად, ბევრად უფრო ალალად ქომაგობენ კალათბურთელებს, ვიდრე ნიუ იორკში, ან ვაშინგტონში.



ფორტი ალამო ბრძოლის შემდეგ

### ადმირალი უდაბნოში

90-იან წლებში „სფურზში“ ერთი დიდი კალათბურთელი, დევიდ რობინსონი თამაშობდა. დიდი ფიზიკურად და მნიშვნელობით. „ადმირალს“ ეძახდნენ. მაგრად თამაშობდა, მაგრამ გვერდით ხეირიანი არავინ ჰყავდა და ასე მარტო აკავებდა ლიდერებში თავის გუნდს. ორჯერ ოლიმპიადაც მოიგო, სეზონის საუკეთესო მოთამაშედაც დაასახელეს, ბომბარდირიც გახლდათ ერთხელ. მაგრამ ჩემპიონობა არ ჩანდა...

1966 წლის შემოდგომის ერთ, სან ანტონიოსთვის არცთუ მშვენიერ დღეს, ქალაქში უცბად ჩამობნელდა. რეგულარული ჩემპიონატის მე-6 თუ მე-7 რიგით შეხვედრაში რობინსონი ფარქვეშ მეტოქესთან ბრძოლისას დაეცა და ისე დაილეწა, ლამის ნაწილ-ნაწილ ასაწყობი გახდა ეს ორ მეტრს ლამის 20 სანტიმეტრით აცილებული გოლიათი. რა არ ილონა გუნდის ახლად დანიშნულმა შეფმა გრეგ პოპოვიჩმა, ევროპიდან ბებერი ვარსკვლავი დომინიკ უილკინსიც კი გამოიწერა, მერე მწვრთნელი ბობ ჰილი გააგდო და თავად სცადა გუნდის აზრზე მოყვანა, მაგრამ ვერაფერი მოახერხა. დევიდ რობინსონის გარეშე „სფურზი“ გუნდს არ ჰგავდა. სეზონი კოშმარს დაემსგავსა. „დეზები“ შინაც აგებდნენ და გარეთაც, ძლიერთანაც და სუსტთანაც, გულშემატკივარი კი შესაძლებლობას არ უშვებდა, რომ ესტვინა და მოედნიდან ლანძღვით გაეცილებინა არცთუ სიმპათიური (ფაქტი სახეზეა) ახალი მწვრთნელი. არავინ უწყის, რა ბედი ეწეოდა კლუბს და როგორ განვითარდებოდა მისი ისტორია, „სფურზში“ „ახალი დევიდ რობინსონი“ რომ არ გამოჩენილიყო.

### ტყუპი კოშკი

1996-97 წლების სეზონის უცუდეს გუნდ „სან ანტონიო სფურზს“ 1997 წლის დრაფტზე ყველაზე პერსპექტიული მოთამაშე შეხვდა. ტიმ დანკანს ჯერ კიდევ სტუდენტური ლიგიდან იცნობდა ყველა, მაგრამ ბევრი ვერ წარმოიდგენდა, მისგან ასეთი მოთამაშე თუ დადგებოდა. გამოჯანმრთელებულმა და მოედანზე მიბრუნებულმა „ადმირალმა“ თითქმის მისი ასაკობის ყმაწვილში თავიდანვე ამოიკითხა ძალა და შემართება, მოკრძალებით დაიხია უკან და გემის კაპიტნობა დანკანს დაუთმო. თავადაც გვერდით ედგა და ხალხმა ამ შვიდფუტიან (213 სმ) დუეტს „ტყუპი კოშკი“ შეარქვა. ბევრი არ იყო ამათი მჯობნი. 1999 წელს მათ პირველად შეაგლევს „დეზები“ ფინალში და ჩემპიონებიც გახდნენ. ქალაქის ერთი გაზეთი მერე დაწერს — ამ ბიჭმა ჩვენს ცივ საკლუბო ფერებში ოქროსფერი გამოურიაო...

დევიდ რობინსონის თუ სხვათა დახმარებით, ამ უცოდველი სახის სპორტსმენმა-მკვლელმა „დეზები“ სულ ოთხჯერ აჩემპიონა, ბოლოს სულ რამდენიმე დღის წინ, როცა „სან ანტონიომ“ 4:0 გაანადგურა მეფედ წოდებული 22 წლის ვარსკვლავ ლებრონ ჯეიმსის „კლივლენდ კავალიერზი“. მერე, რა,

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ჩემპიონი
# სურათები სან ანტონიოდან

რომ ფინალური სერიის უძვირფასეს მოთამაშედ დანკანი კი არა, სულ სხვა დაასახელეს — ახალგაზრდა ფრანგი გამთამაშებელი ტონი პარკერი. ყველამ იცის, ვინაა „სფურზის“ ნამდვილი ლიდერი და ის, რომ პარკერმა ფინალის 4 თამაშში საშუალოდ 24 ქულა აკეთა, ხოლო დანკანმა 18, დიდად არ ცვლის ამ მომცრო ქალაქის ვეებერთელა გუნდის ბოლო ათი წლის სახეს. „სან ანტონიო სფურზის“ ისტორია ორ ეპოქად იყოფა — „ტიმამდე“ და „ტიმის შემდეგ“.

## პოპი არაა პოპულისტი

ღვინის მსმელი და კოლექციონერი, პოლიტიკური აქტივისტი, სანიმუშო ქმარი და მამა...

ეს არაა რომელიმე ძირძველი ამერიკელის და მე-15 თაობით მიწათმფლობელის დახასიათება და სარეკლამო იმიჯი. ამ კაცის მთავარი საქმე და საფიქრალია, თავის გუნდს ასწავლოს მეტოქის კალათში რაც შეიძლება მეტი ბურთის ჩაგდება. ძალიან მარტივად ჟღერს, არა?

დღეს სან ანტონიოში არავის სურს იმ ძველი, შავბნელი პერიოდის გახსენება, როცა გრეგ პოპოვიჩი ყველაზე ცუდი ადამიანი იყო. დღეს სან ანტონიოსთვის და „სან ანტონიოსთვის“ ის მხოლოდ „სფურზის“ მთავარი მწვრთნელი არ გახლავთ.

პოპოვიჩი არაა იოლი ადამიანი. კარგა ხანია ეჭვქვეშ დგას ერთი საკითხი — იცინის ის ოდესმე?

„ჩვენი ვარჯიში პოლიტიკაზე საუბრით იწყება — ყვება „სფურზის“ სათადარიგო მოთამაშე ბრენტ ბერი — ჩვენ ცხარე დებატებს ვმართავთ, მაგრამ არ იფიქროთ, თითქოს მოთამაშეები ბევრს ვლაპარაკობდეთ. არც გვეძლევა ამის შანსი. პოპის დიალოგის მანერა მონოლოგს უფრო გავს. ის გვიყვება მსოფლიოში მიმდინარე ამბებს და ცდილობს ამით დაგვარწმუნოს, რომ კალათბურთის თამაში კიბოს მკურნალობაზე უფრო იოლი რამეა. არადა, ჩვენ ხშირად პირიქით გვგონია.“

მართლაც, „სან ანტონიოს“ თამაშის ყურებას (კიბო იქით იყოს), ჩვენებურად რომ ვთქვათ, „სვარკის“ ყურება ჯობია ხშირად. ამერიკაში ზოგადად პატივს სცემენ პოპოვიჩსაც, დანკანსაც, ჯინობილისაც, პარკერსაც და რობერტ ჰორისაც კი, მაგრამ არა „სან ანტონიოს“. ამერიკელები მის დაცვით სქემებში ვერ ხედავენ კალათბურთის ამერიკულ სილამაზეს. პოპოვიჩის კალათბურთი ძალიან გავს ევროპულ კალათბურთს და შეისაძლოა. ეს გავლენა მისი ბალკანური ფესვების ბრალია. მის გუნდში არ არსებობს მოთამაშეთა ასეთი დიფერენცირება — „ვარსკვლავები“ და „მუშები“. მის გუნდში ყველა თამაშობს და ყველა მუშაობს. არ მოგწონს? აგერ კარები! გინდა „ლოს ანჯელეს ლეიკერსში“ წადი და გინდა, „ლოს ანჯელეს კლიპერსში“. მაგრამ თუ აქ დარჩები, კეთილი ინებე და პოპს ყური დაუგდე.

კვლავ ბრენტ ბერი: „ჩვენთან სხვანაირად არ ხდება, პოპის ნათქვამი ყველას თანაბრად ეხება, ტიმ დანკანსაც და ბენო უდრიჰსაც, გამონაკლისი არავისთვის არ არსებობს.“

ერთხელ გრეგ პოპოვიჩმა მოკიდა მთელ გუნდს ხელი, სამხედრო ჰოსპიტალში წაასხა და დაჭრილ ჯარისკაცებთან მიიყვანა — დახედეთ და იცოდეთ, რომ თქვენი ვარჯიში, თამაში და საერთოდ საქმე არც ისე საშინელია, როგორც გეჩვენებათო. შეიძლებოდა, ხალხს მისი ქცევა იაფფასიან პოპულისტურ გამოხტომად ჩაეთვალა, მაგრამ პოპი ნამდვილად არაა პოპულისტი და ეს უკვე დიდი ხანია ყველამ იცის.

სხვა მხრივ, პოპოვიჩი ღვინის დიდი მოყვარულია და სამარკო ღვინოების სამიათასბოთლიანი კოლექცია აქვს.

## ფინალის ირიბი სახეები

„კლივლენდს“ ერთი სათადარიგო მოთამაშე ჰყავს, დეიმონ ჯონსი, რომელსაც უამრავ გუნდში უთამაშია — როგორც ყველამ, ჯონსმაც სტუდენტური ლიგით დაიწყო, შემდეგ გამოიარა ამერიკის ორი მეორეხარისხოვანი ასოციაცია და ბოლოს მივიდა ნბა-ში. თქვენ გგონიათ, აქ გაჩერდა? ნბა-შიც 7 სეზონში ზუსტად ამდენივე გუნდის გამოცვლა მოასწრო. ბოლოს ბედმა „კლივლენდში“ მიიყვანა და პლეი ოფის ფინალშიც გაიყვანა.

ერთი მხიარული ბიჭია. აი, ისეთი, ათასი რამე და ვინმე რომ უნახავს და სახუმარო ამბები რომ არ უთავდება. ეს დეიმონ ჯონსი ამბობს, რომც დამიძახონ, მაგ გუნდში მაინც არ მივალო — „ჩემნაირები ვერ ჩაჯდებიან მაგათი ცხოვრების რიტმში. ეგენი სხვანაირები არიან.“

ასეა, ზოგი თავდაუზოგავი შრომით და ბრძოლით ცდილობს მზის ქვეშ ადგილის მოპოვებას, ზოგი კი მცირედითაც კმაყოფილდება და მხიარულად მიჰყვება ცხოვრების დინებას. „სან ანტონიო სფურზი“ მომავალ სეზონშიც მწვერვალს შეუტევს, დეიმონ ჯონსი, ფინალში 0:4 წაგებული გუნდის სათადარიგო მოთამაშე კი ვინ იცის, ხვალ რომელ გუნდში ამოჰყოფს თავს.

დეიმონ ჯონსის სრული ანტიპოდია სანანტონიოელი მაიკლ ფინლი, მოთამაშე, რომელიც მთელი კარიერა სხვა გუნდში ღვრიდა ოფლს და ბოლოს, როგორც იქნა, 34 წლისა „სფურზის“ მაისურში გახდა ჩემპიონი. ახლა შეუძლია მშვიდად გავიდეს პენსიაზე, ან არ გავიდეს... მოკლედ, როგორც ინებებს.

ნბა-ს წლევანდელი ფინალის კიდევ ერთი მკაფიო სახის პერსონაჟია რობერტ ჰორი. მართალია მას კარიერაში საშუალოდ 7,4 ქულა აქვს მოგროვილი, მაიკლ ჯორდანს კი 30,1, მაგრამ ბედის ირონიით ჰორი ნბა-ს შვიდგზის ჩემპიონია, ჯორდანი კი „მხოლოდ“ ექვსგზის.

## თასი ლოგინში, ევა დივანზე

ტონი პარკერი თავისებურად უნიკალური კაცია ნბა-ში. ამერიკაში ბევრ არანაკლებად სახელოვან ევროპელ კალათბურთელს უთამაშია, დაწყებული დრაჟენ პეტროვიჩით და დამთავრებული დირკ ნოვიცკით. მაგრამ მას აქვს ის, რაც არ რგებია ბებერი კონტინენტიდან ამერიკაში გადმომსხდარ მასზე ნიჭიერ ბარე ათ ვარსკვლავს. გარდა იმისა, რომ 25 წლის ასაკში ნბა-ს სამგზის ჩემპიონია, ტონი პარკერი გახდა პირველი ევროპელი, რომელიც ფინალური სერიის უძვირფასეს ანუ საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს.

ფრანგი ბედნიერებისგან ბრწყინავდა, როცა კლივლენდში დაჯილდოების ცერემონიალზე ნბა-ს კომისარმა დევიდ შტერნმა კუთვნილი პრიზი გადასცა. ერთავად მოჟამული სახე გაუნათდა და გაბადრულმა მიუშვირა პრიზი ფოტორეპორტიორებს. არხზე პარკერი თავის გელფრენდთან, ამერიკული სერიალების ცნობილ ვარსკვლავ ევა ლონგორიასთან ერთად მივიდა. „ისეთი ბედნიერი ვარ, რომ სხვა ვერაფერზე ვფიქრობ. ეს ღლეებია, პრიზთან ერთად მძინავს, ევა დივანზე გავუშვი — ხუმრობს პარკერი და თვალი ევასკენ გაურბის, ხომ არ სწყინსო — ხუმრობა იქით იყოს და მე ამ გუნდში ყოფნით ვარ ბედნიერი, მე დღეს აი აქ ყოფნით ვარ ბედნიერი. ეს სან ანტონიოა! ჩვენ ჩემპიონები ვართ!“

**ირაკლი ფირაშვილი**



ტყუპი კოშკი: ტიმ დანკანი და დევიდ რობინსონი


გრეგ პოპოვიჩი არავის არაფერს არ უთმობს


ტონი და ევა

ჭიდაობა

# ათს ვამზობთ, მეტს ვგულისხმობთ

## ჩამომსვლელებს ჯერ სიტყვაზე ენდობიან



„კარტოზია-ბალავაძის საერთაშორისო ტურნირს წლეულს გაცილებით მეტი სტუმარი ეყოლება“ — გვითხრა გუშინ საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ომზარ შოშიტაიშვილმა. ერთ დროს მსოფლიოს არაოფიციალურ ჩემპიონატად წოდებულ თბილისის ტრადიციულ პირველობას 14-15 ივლისს „ქარიშხალას“ სპორტული დარბაზი უმასპინძლებს.

მონაწილეთა განაცხადებების მიღება ხალიჩის გაშლამდე ცხრა დღით ადრე დასრულდება. 5 ივლისს გაირკვევა, რამდენი ქვეყნის ნაკრები ჩამოვა თბილისში. იქამდე კი ფედერაციას მხოლოდ სატელეფონო შეთანხმებებზე დაყრდნობით შეუძლია დასკვნების გამოტანა.

*ომზარ შოშიტაიშვილი:* „დაახლოებით ათამდე ფედერაციასთან წინასწარი მოლაპარაკება უკვე დასრულებულია. მათ თავად გამოთქვეს ჩამოსვლის სურვილი და არა მგონია, გადაიფიქრონ. „ქარიშხალას“ ხალიჩაზე ამერიკელი, ჩინელი, იაპონელი, ბერძენი, თურქი, რუსი, სომეხი და აზერბაიჯანელი მოჭიდავეები გავლენ. განაცხადების მიღების ვადის ამოწურვამდე ჯერ დიდი დროა და სტუმართა რაოდენობა კიდევ გაიზრდება.“

გენერალური მდივნის თქმით, ახლა ფედერაციის მთავარი საფიქრალი საორგანიზაციო საკითხების მაქსიმალურად სწრაფად და მაღალ დონეზე მოგვარებაა. გეგმაში თავად დარბაზის მოპირკეთებაც ყოფილა. მთავარი პრობლემა კი ალბათ ტრიბუნების სიმცირე იქნება. „ქარიშხალა“ ათას მაყურებელს იტევს და თუ ქართველი გულშემატკივრის ინტერესს გავითვალისწინებთ, ყველა მსურველი ვერ შეძლებს ჭიდაობის ცოცხლად ცქერას. მით უმეტეს, რომ სავარაუდოდ, დასწრება უფასო იქნება.

სპორტის სასახლის სარემონტო სამუშაოების გამო ერთხანს ტურნირს ერთწლიანი პაუზა რომ ემუქრებოდა, შემდეგ კი სხვა დარბაზში გადაიტანეს, უკვე ძველი ამბებია. ახლა გასარკვევი მხოლოდ ისაა, მოხერხდება თუ არა ბოლო წლებში ჩემპიონ-პრიზიორებისთვის დაწესებული ფინანსური წახალების შენარჩუნება. მომავალი წლიდან ფედერაცია სულაც საპრიზო ფონდის გაზრდაზე ფიქრობს, ტურნირი ძლიერი უცხოელი სპორტსმენებისთვის უფრო მიმზიდველი რომ გახადოს. წლევანდელი დაფინანსების საკითხი კი დღე-დღეზე გაირკვევა, ისევე როგორც ჩვენი ნაკრების წინასატურნირო მოსამზადებელი გეგმა.

**ოთარ მხეიძე**

# კვირკველიას კარტოზია სათუოა



**მანუჩარ კვირკველიამ** შესაძლოა თბილისურ ტურნირს ტრიბუნიდან უცქიროს. ნაკრების მწვრთნელები და მედიკოსები ერთად მიიღებენ გადაწყვეტილებას. ამ ეტაპზე კი ევროპის მოქმედ ჩემპიონს ვარჯიშში ხელს ტრავმა უშლის.

„მაჯის სახსარი აქვს დაზიანებული და დაახლოებით ათი დღეა, ინტენსიურ სარეაბილიტაციო კურსს ვუტარებთ — გვაცნობა გუშინ ოლიმპიური ნაკრების მთავარმა ექიმმა ზურაბ კახაბრიშვილმა — საგანგაშო ტრავმა არაა, მაგრამ არც ისე მსუბუქია, რომ კურსის ჩამთავრებისთანავე დატვირთვებს შეეჭიდოს. ერთ კვირაში უკვე ვარჯიშის ნებასაც დავრთავთ, ოღონდ მხოლოდ მსუბუქად. ჯობს არ გავრისკოთ და ნელ-ნელა დავტვირთოთ. გივი კარტოზიას სახელობის ტურნირი კი ივლისის შუა რიცხვებშია. ჩემი აზრით, საერთო საქმისთვის უკეთესი იქნება, თუ მანუჩარს დასვენების საშუალებას მივცემთ. ამის თაობაზე ნაკრების თავკაც ბეგი დარჩიას აუცილებლად დაველაპარაკები.“

**ოთარ გაღლაძელიძე**

რაგბი

# საქართველოს ჩემპიონატი

## პირველი წრე. მეხუთე ტური

= 20 ივნისი. „მიხეილ მესხი“ =

**ლოკომოტივი 26:0 დინამო**

**ლოკომოტივი:** ნადირაძე, გუგავა, ქავთარაძე, ხაჩირაშვილი, ბერძენიშვილი; კვინიხიძე, ლვინჯილია; ზ. მაისურაძე, ყურაშვილი, ბერიშვილი, მგელაძე, მთიულიშვილი, ხეჩიკოვი, ტურაშვილი, პეტრიაშვილი

**შეცვლაზე შევიდნენ:** ჩიხლაძე, კახიანი, დათუკიშვილი, ნეველიძე, ჯაველიძე

**4ლ:** ტურაშვილი, მგელაძე, მაისურაძე, ნადირაძე; **3ბ:** კვინიხიძე

**დინამო:** ოდიშარია, აგიაშვილი, მაისურაძე, ხვიჩია, ჯეირანაშვილი; გრძელიშვილი, კრეპსი; აზალაძე, რამიშვილი, გუგუშვილი, მეიშვილი, ჭიჭინაძე, გაგნიძე, მირცხულავა, მურვანიძე

**შეცვლაზე შევიდნენ:** ანდრეასოვი, მუქია, სვანიძე, ლირსიაშვილი

**ყოჩები 34:22 თსუ**

**ყოჩები:** დადეშიანი, ნიჟარაძე, ჟამუტაშვილი, ადანაია, გეგენავა; კობახიძე, ხელაძე; დგებუაძე, გაბუნია, ბრეგვაძე, არჩუაშვილი, კელაშვილი, შეყლაშვილი, კიკნაველიძე, ასეიშვილი

**შეცვლაზე შევიდნენ:** კუჭუხიძე, ჯიხაძე, მარძელიშვილი, თოთაძე, ჩოჩიშვილი, ჩუთლაძე

**6ლ:** კობახიძე (3), ტექნიკური, დგებუაძე, კუჭუხიძე; **2ბ:** კობახიძე, გაბუნია

**თსუ:** კავთაძე, ხუციშვილი, გოგიშვილი, ნუცუბიძე, კიკვიძე; ბაირამაშვილი, ნადარეიშვილი; მჭედლიძე, დათუნაშვილი, კობახიძე, ჩხაიძე, დონაძე, კაკოვინი, მასხარაშვილი

**შეცვლაზე შევიდნენ:** კილასონია, ფერაძე, კაკილაძე, ბერიძე, დარასელია, ჯაში

**3ლ:** ბაირამაშვილი (2), კიკვიძე; **2ბ:** ბაირამაშვილი, ნუცუბიძე; **1ჯ:** ბაირამაშვილი

# სენსაცია არ შედგა

## ჩემპიონმა ვიცე-ჩემპიონი უქულოდ დატოვა



საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე გუნდებმა პირველი წრე მოლიეს. თუ არ ჩავთვლით შარშანდელ ფინალისტ „დინამოს“ სენსაციურ აუტსაიდერობას, შინაურ რაგბიში მოულოდნელი და ექსტრაორდინალური არაფერი მომხდარა. „ლოკომოტივთან“ და „ყოჩებთან“ ერთად ლიდერთა მარაქაში „ლელოც“ გაერია, ხოლო ქვედა სამეულს — „არმაზს“ თსუ-ს და „დინამოს“ ნახევარფინალში თამაშის თანაბარი შანსები აქვთ. მესამე ტურის გადადებული მატჩი „ლელოსა“ და „ლოკომოტივს“ შორის 26 ივნისს გაიმართება. სატურნირო ცხრილში ლიდერსაც ეს თამაში გამოარკვევს.

„ლოკომოტივის“ სათადარიგო მოედანზე გუშინ გამართულ ჯახებში აუტსაიდერები პირწმინდად დაიჩაგრნენ. „ყოჩები“ — თსუ-ს თამაშის დაწყებისთანავე აუტიდან მოწოდებულ ბურთს „ყოჩთა“ მოლი შემოეჯარა და ბურთიც და სტუდენტთა მორკინალებიც საკუთარ ლელოში შეარბენინა. „ყოჩებმა“ ექვსივე ლელო მორკინალთა ძალისხმევით გაიტანეს — ოთხჯერ შერკინებამ და ორჯერ მოლმა სტუდენტებს წინ გასვლის იოტისოდენა შანსიც კი არ მისცა.

თსუ-ს ლელოებში უფრო კონკრეტული მორაგბეები და მათი ოსტატობა ჩანდა. ბაირამაშვილის და კიკვიძის ეფექტურ ლელოებს უნივერსიტეტელებმა ერთი გუნდურად ჩათამაშებულიც მიაყოლეს და ამით საინტერესო მომენტებს და თამაშის ქულიან ეპიზოდებს წერტილი დაუსვეს.

მეორე შეხვედრაში ჩემპიონმა „ლოკომოტივმა“ ვიცე-ჩემპიონი „დინამო“ მშრალი ანგარიშით დაამარცხა. არადა, დასაწყისისთვის „დინამომ“ აითვისა მეტოქის წილი მოედნის ნახევარი და ერთ მომენტში დინამოელ მოიერიშეს ლელოს დამიწებსას ბურთი ხელიდან რომ არ გავარდნოდა, შეხვედრა ალბათ უფრო საინტერესოდ განვითარდებოდა. მაგრამ როგორც მოსალოდნელი იყო, სენსაცია არ გამოცხვა, ჩემპიონებმა უცებ გათამაშებული ჯარიმიდან ზვიად მაისურაძეს უპასეს და მანაც ბურთთან ერთად ორი მოწინაალმდეგე შეათრია ლელოში. შემდეგ ყველაფერი თავის ადგილზე დადგა: „ლოკომოტივს“ ყოველ ათ წუთში თითო ლელო გაჰქონდა და მშვიდად მიჰყავდა თამაში გამარჯვებამდე.

მეორე ტაიმში ტრიბუნაზე შეკრებილ გულშემატკივარს ის ის იყო ძილი მოერია, რომ უცებ მოედანზე გვარიანი ჩხუბი ატყდა. მტყუან-მართალის გარკვევის შემდეგ მსაჯმა ლოკომოტიველი ჩიხლაძე გააგდო. მაგრამ „დინამომ“ ამით ვერაფერი იხეირა, გარდა იმისა, რომ ბურთს უფრო ხშირად აკონტროლებდა. მეორე ნახევრის ერთადერთი სალელოვე კომბინაცია ისევ „ლოკომოტივმა“ და მისმა ჩაუქმა გარემარბმა ნადირაძემ შექმნა, თავისი ოცდაორიდან გათამაშებული ბურთი დრიბლინგით ჩაიტანა მოწინააღმდეგის ლელოში.

**ზურაბ მიგრიაული**

**სატურნირო ვითარება**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | 4 | 4 | 0 | 0 | +87 | 8 |
| ყოჩები | 5 | 4 | 0 | 1 | +28 | 8 |
| ლელო | 4 | 3 | 0 | 1 | +96 | 6 |
| არმაზი | 5 | 1 | 0 | 4 | -46 | 2 |
| დინამო | 5 | 1 | 0 | 4 | -56 | 2 |
| თსუ | 5 | 1 | 0 | 4 | -80 | 2 |

კრივი

# ბებერი შეშლილი კლიჩკოს იწვევს

**პროფესიულ** კრივში მძიმე წონა ისედაც ყველაზე არეულ-დარეულია. იქ ისეთი დომხალია, ვერ გაიგებ, ვინ ვის გვემს. ჰოდა, ამ საგიჟეთს თითქოს კიდევ ერთი არანორმალური აკლდა — სწორედ ასეთი გასულ უქმეებზე გამოჩნდა ბებერი ოლივერ მაკოლის სახით. ამ ამერიკელის საგმირო საქმეებზე წინა ნომრებში უკვე მოგახსენეთ და ავღნიშნეთ, რომ მას სერიოზული ფსიქოლოგიური პრობლემები აქვს, რაც ხშირად აისახება ხოლმე მაკოლის რინგზე არაადექვატურ მოქმედებებში.

ასეა თუ ისე ოთხი დღის წინ ანკარაში სინან სამილ სამის ცემის შემდეგ მაკოლს WBC-ს ქამრისთვის ბრძოლის შანსი მიეცა და ამერიკელიც ახლა საჩხუბრად ამ ვერსიით ჯერ ექს-ჩემპიონ ვიტალი კლიჩკოს იწვევს.

„მინდა დავამტკიცო, რომ საუკეთესო ვარ“ — აი ასეთი ამბიციურია მაკოლი.

ისე ზუსტად არ არის ცნობილი თუ როდის მიეცემა ამერიკელს ჩემპიონობისთვის ბრძოლის შანსი. საქმე ისაა, რომ WBC-ს ვერსიით მოქმედი ჩემპიონი ოლეგ მასკაევია, რომელსაც ქამრის შესანარჩუნებლად ნიგერიელ სამუელ პიტერთან მოუწევს დატაკება. გარდა ამისა, ვიტალი კლიჩკო WBC-ს საპატიო ჩემპიონია და მასკაევ-პიტერის წყვილის გამარჯვებული სწორედ უკრაინელს შეხვდება. ჰოდა, მაკოლის ჯერი მხოლოდ მაშინ დადგება, როცა ეს სამეული ერთმანეთში გაარკვევს ქამრის ბედს.

მაკოლს კი ამდენის მოცდა არ უნდა, კლიჩკოსა ახლავე იწვევს და ამა წლის ოქტომბერში სთავაზობს ბრძოლის გამართვას. ამერიკელმა უკრაინელს შეუთვალა, ჩვენს შორის გამარჯვებული მასკაევ-პიტერს შორის გამარჯვებულს შეხვდეს ქამრისთვის ჯახში.

„ვიტალი კლიჩკო ის მეტოქეა, ვის წინააღმდეგაც სიამოვნებით გავიდოდი რინგზე. ყველა ამბობს, რომ ის საუკეთესოა და მინდა დავამტკიცო, რომ მისი დამარცხება შემიძლია. ვფიქრობ, ჩვენი ბრძოლა უინტერესო არ უნდა იყო კრივის მოყვარულთათვის.“

**კახა ლომაძვილი**

# უიმბლდონს თავისი დონე აქვს


AFP

**ოთხ დღეში** წლის მესამე სლემტურნირი იწყება და უიმბლდონის ორგანიზატორებმაც პრივილეგირებულთა, ანუ საჩოგბურთო ენაზე რომ ვთქვათ, განთესილთა სია გამოაქვეყნეს. თანაც მოგეხსენებათ, „სრულიად ინგლისის საჩოგბურთო კლუბში“ განთესვა სხვა სლემტუნრირებისგან განსხვავებულად ტარდება — რეიტინგის გარდა აქ ამა თუ იმ ჩოგბურთელის მიერ უკანასკნელ ორ წელიწადში ბალახზე ნაჩვენებ შედეგებს აქცევენ ყურადღებას. ამის გამო საკმაოდ ხშირად ხდება, რომ რეიტინგში მაღლა მდგომი ესა თუ ის ჩოგნის მქნეველი მოსალოდნელზე დაბალ ნომერს იღებს.

წლეულს ეს განსაკუთრებით კაცებს დაეტყოთ. თუმც აქვე აღვნიშნოთ, რომ პირველ სამეულში არანაირი ცვლილებები არ არის — პირველი, რაღა თქმა უნდა, ბოლო ოთხი უიმბლდონის მომგები როჯერ ფედერერია, რომელსაც შარშანდელი ფინალისტი რაფაელ ნადალი მოსდევს. მესამე ნომერი კი ბალახის კიდევ ერთ სპეციალისტს, უიმბლდონის ორგზის ფინალისტ ენდი როდიკს ერგო.

შემდეგ სიურპრიზები იწყება — რეიტინგში მეოთხე პოზიციაზე გამაგრებულ ნიკოლაი დავიდენკოს მხოლოდ მეექვსე ნომერი ერგო. სამაგიეროდ, წინ წაიწია ჰალეს ახალგამომცხვარმა ჩემპიონმა ტომაშ ბერდიხმა, რომელიც მეშვიდე ნომერია. ისე გამოვიდა, რომ ახალგაზრდა ჩეხმა ადგილი ტომი რობრედოს გაუცვალა, რადგან ესპანელი მეთერთმეტედ განთესეს.

დაწინაურდნენ შარშანდელი ნახევრფინალისტებიც — მარკოს ბაღდატისი რეინტინგში ახლა მეთექვსმეტეა, განთესვისას კი ექვსი საფეხურით წინ აღმოჩნდა. ვეტერან იონას ბიორკმანს მეოცე ნომერი ერგო, მაშინ როცა რეიტნგში 31-ეა.

ქალებს შორის სიურპრიზები ნაკლებად იყო. პირველი ნომერი “როლან გაროსის“ მეოთხედ მომგები და წლეულს უიმბლდონზე სერიოზულად დაგეშილი ჟუსტინ ენინია. მოქმედი ჩემპიონი ამელი მორესმო მხოლოდ მეოთხედ განთესეს და მასზე წინ დამდეგი სლემტურნირის ერთ-ერთი უდავო ფავორიტი მარია შარაპოვა და ელიტაში მტკიცედ ფეხმოკიდებული ელენა იანკოვიჩი დააყენეს.

მხოლოდ 24-ეა ტურნირის შარშანწინდელი გამარჯვებული ვინუს უილამსი — თუმც ამ ამერიკელს ტრავმების გამო ლამის წელიწადნახევარი გაუცდა და საერთოდ განთესილებში რომ მოხვდა, ისევ ძველი მიღწევების დამსახურებაა. ვინუსის უმცროსი და სერენა კი მეშვიდე ნომერი იქნება და მისგან აქ მხოლოდ ჩემპიონობისთვის ბრძოლას ელიან.

ბოლოს კი განთესილთა სრულ სიებს წარმოგიდგენთ:

**კაცები**

1. როჯერ ფედერერი (შვეიცარია, რეიტინგში 1), 2. რაფაელ ნადალი (ესპანეთი, 2), 3. ენდი როდიკი (აშშ, 3), 4. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი, 5), 5. ფერნანდო გონსალესი (ჩილე, 6), 6. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი, 4), 7. ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი, 11), 8. ენდი მიურეი (ბრიტანეთი, 8), 9. ჯეიმს ბლეიკი (აშშ, 9), 10. მარკოს ბაღდატისი (კვიპროსი, 16) , 11. ტომი რობრედო (ესპანეთი, 7), 12. რიშარ გასკე (საფრანგეთი, 12), 13. ტომი ჰაასი (გერმანია, 10), 14. მიხაილ იუჟნი (რუსეთი, 14), 15. ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია, 13), 16. ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია, 19), 17. დავიდ ფერერი (ესპანეთი, 15), 18. მარიო ანჩიჩი (ხორვატია, 23), 19. იარკო ნიემინენი (ფინეთი, 21), 20. იონას ბიორკმანი (შვედეთი, 31), 21. ხუან-კარლოს ფერერო (ესპანეთი, 18), 22. დმიტრი ტურსუნოვი (რუსეთი, 24), 23. გილერმო კანასი (არგენტინა, 17), 24. დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა, 26), 25. ხუან-იგნასიო ჩელა (არგენტინა, 20), 26, კარლოს მოია (ესპანეთი, 22), 27. მარატ საფინი (რუსეთი, 25), 28. ფილიპ კოლშრაიბერი (გერმანია, 28), 29. რობინ სოდერლინგი (შვედეთი, 29), 30. აგუსტინ კალერი (არგენტინა, 30), 31. ფილიპო ვოლანდრი (იტალია, 27), 32. ხუან მონაკო (არგენტინა, 33)

**ქალები**

1. ჟუსტინ ენინი (ბელგია, რეიტინგში 1), 2. მარია შარაპოვა (რუსეთი, 2), 3. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი, 3), 4. ამელი მორესმო (საფრანგეთი, 4), 5. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი, 5), 6. ანა ივანოვიჩი (სერბეთი, 6), 7. სერენა უილიამსი (აშშ, 7), 8. ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი, 8), 9. მარტინა ჰინგისი (შვეიცარია, 9), 10. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი, 10), 11. ნადეჟდა პეტროვა (რუსეთი, 11), 12. ელენა დემენტიევა (რუსეთი, 12), 13. დინარა საფინა (რუსეთი, 13), 14. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხეთი, 14), 15. პატი შნიდერი (შვეიცარია, 15), 16. შაჰარ პირი (ისრაელი, 16), 17. ტატიანა გოლოვინი (საფრანგეთი, 17), 18. ნა ლი (ჩინეთი, 18), 19. მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი, 20), 20. კატარინა სრებოტნიკი (სლოვენია, 21), 21. სიბილ ბამერი (ავსტრია, 22), 22. ტატიანა გარბინი (იტალია, 23), 23. ანაბელ მედინა-გარიგესი (ესპანეთი, 24), 24. ვინუს უილიამსი (აშშ, 31), 25. ალიონა ბონდარენკო (უკრაინა, 25), 26. ლუსი შაფაროვა (ჩეხეთი, 26), 27. აი სუგიამა (იაპონია, 27), 28. სამანტა სტოსური (ავსტრალია, 28), 29. მარა სანტანჯელო (იტალია, 29), 30. ფრანჩესკა შიავონე (იტალია, 30), 31. ოლგა პუჩკოვა (რუსეთი, 32), 32. მიკაელა კრაიჩეკი (ჰოლანდია, 33)

# ამელი მორესმომ „მე“ წამოწია

**კაცები.** ნოტინგემი. ბრიტანეთი. ბალახი. საპრიზო 353 450 €

**მეორე წრე**

**არნო კლემანი** (8, საფრანგეთი) — თეიმურაზ გაბაშვილი (რუსეთი) 7:6 3:6 6:3; **იგო კარლოვიჩი** (სერბეთი) — ჟილ სიმონი (საფრანგეთი) 7:6 6:7 6:4; **ხუან მარტინ დელ პოტრო** (არგენტინა) — იგორ კუნიცინი (რუსეთი) 6:2 7:5; **გილერმო გარსია-ლოპესი** (ესპანეთი) — სებასტიან გროჟანი (3, საფრანგეთი) 6:4 6:3; **დმიტრი ტურსუნოვი** (2, რუსეთი) — ტიმ ჰენმანი (ბრიტანეთი) 7:6 3:6 6:2; **რიშარ გასკე** (1, საფრანგეთი) — იან ვაჩეკი (ჩეხეთი) 6:4 6:0

**კაცები.** ჰერტოგენბოში. ჰოლანდია. ბალახი. საპრიზო 353 450 €

**მეორე წრე**

**პეტერ ვესელსი** (ჰოლანდია) — კარლოს ბერლოკი (არგენტინა) 6:2 7:6; **ბენჯამინ ბეკერი** (გერმანია) — ივ ალეგრო (შვეიცარია) 6:4 7:6; **ანტუან დიუვუში** (საფრანგეთი) — სერხიო როიტმანი (არგენტინა) 6:4 7:6; **ჟულიენ ბენეტო** (საფრანგეთი) — რობინ ჰააზე (ჰოლანდია) 7:6 6:3; **მიხაილ ბერერი** (გერმანია) — გილერმო კანასი (3, არგენტინა) 3:6 6:4 6:4; **იანკო ტიპსარევიჩი** (სერბეთი) — ლუკაშ დლუჰი (ჩეხეთი) 6:2 2:6 7:5; **ივან ლიუბიჩიჩი** (2, ხორვატია) — ანდრეას სეპი (იტალია) 6:3 6:4; **ტომი რობრედო** (1, ესპანეთი) — კრისტოფ ვლიგენი (ბელგია) 6:4 6:7 6:3

**ქალები** ისტბორნი. ბრიტანეთი. ბალახი. საპრიზო 600 000 $

**მეორე წრე**

**ჟუსტინ ენინი** (1, ბელგია) — აგნეშკა რადვანსკა (პოლონეთი) 6:4 6:1 **ნიკოლ ვაიდიშოვა** (5, ჩეხეთი) — ელენა ბალტაჩა (ბრიტანეთი) 6:3 6:2; **ელენა დემენტიევა** (4, რუსეთი) — კეისი ობრაიენი (ბრიტანეთი) 6:3 6:4; **სიბილ ბამერი** (ავსტრია) — ლუსი შაფაროვა (ჩეხეთი) 7:6 5:7 6:3; **ნადია პეტროვა** (3, რუსეთი) — ნატალი დეში (საფრანგეთი) 7:5 7:5; **შაჰარ პირი** (6, ისრაელი) — აიკო ნაკამურა (იაპონია) 6:3 6:2; **ამელი მორესმო** (2, საფრანგეთი) — მარა სანტანჯელო (იტალია) 6:2 6:3

**წინასაუიმბლდონო** ტურნირების მიმოხილვა ქალთა ამბებით დავიწყოთ და თავიდან ისტბორნში მომხდარ მოვლენებზე შევჩერდეთ — სხვა თუ არაფერი, აქ უიმბლდონის შარშანდელი ჩემპიონი და ფინალისტი თამაშობენ, რომლებმაც წარმატებით დაძლიეს მეორე წრე და ახლა უკვე მეოთხედფინალში არიან.

ჩემპიონმა ამელი მორესმომ ადვილად გადაუჩოგნა მარა სანტანჯელოს. მხარბეჭიანი ფრანგი ძალიან დამაჯერებლად გამოიყურებოდა ახლად ტრავმამოშუშებულის კვალობაზე და ამან ამელი იმდენად გაათამამა, რომ პირდაპირ განაცხადა წლეულს ტიტულის შენარჩუნებას ვგეგმავო:

„მიყვარს ბალახზე თამაში, რაც დღეს დავამტკიცე კიდეც. ამ საფარზე კარგად ვგრძნობ თავს და ვფიქრობ, წლეულს უიმბლდონზე წარმატების იმედი უნდა ვიქონიო. დღეს საკუთარი ძალების ხელახლა ვირწმუნე“ — ყელყელაობდა ნამატჩევს მორესმო. ისე, ფრანგის რწმენას საკმაოდ სერიოზული გამოცდა უკვე მეოთხედფინალში ელის ახალგაზრდა ებრაელ შაჰარ პირის ჩოგნის სახით.

ჟუსტინ ენინს თავიდან ცოტა გაუჭირდა პოლონელ თინეიჯერ აგნეშკა რადვანსკასთან, მაგრამ საკმაოდ მძიმე პირველი სეტის შემდეგ ბალახზე თამაშს ალღო აუღო და მომდევნო სეტში მხოლოდ გეიმი დათმო.

„ბალახზე სეზონში პირველად თამაში ყოველთვის ძნელია — სტანდარტულად დაიწყო თავისი ინტერვიუ ენინმა — მაგრამ მთლიანობაში კმაყოფილი ვარ და იმედი მაქვს, კიდევ მოვუმატებ, რომ უიმბლდონს მეტ-ნაკლებად კარგ ფორმაში შევხვდე.“

ჭინკა ბელგიელს ახლა მართლაც მძიმე ბრძოლა მოუწევს, რადგანაც ნიკოლ ვაიდიშოვას ხვდება — მართალია, 18 წლის ჩეხი თავის საყვარელ საფრად ბალახს ნამდვილად არ თვლის, მაგრამ მისი წაქცევა მაინც ძნელი საქმე იქნება.

მეოთხეფინალში არიან რუსები — ნადია პეტროვა და ელენა დემენტიევაც. ამათგან პეტროვას უფრო გაუჭირდა, რადგანაც ნატალი დეში ორჯერვე მხოლოდ სეტის მიწურულს თუ გატეხა და მსგავსი ანგარიშით, 7:5 დაამარცხა.

ახლა კი კაცთა ჩაუქობას შევეხოთ — საბოლოოდ წახდა ტიმ ჰენმანი და ამას აღარაფერი ეშველება. უბრალოდ, ბრიტანელი ვეტერანი ველარ ახერხებს, ტემპში აჰყვეს თავის ახალგაზრდა კოლეგებს. ისე, ტიმს მეტოქეშიც არ გაუმართლა, რადგანაც დმიტრი ტურსუნოვი მაშინაც ამწარებდა, როცა ჰენმანი გაცილებით კარგ ფორმაში იყო და რუსმა არც ახლა მოიკლო ბრიტანელის ჩაჩოგნების სიამოვნება.


AFP

ნოტინგემში საინტერესო კიდევ ის მოხდა, რომ ტურნირს მესამე ნომერი სებასტიან გროჟანი დაემშვიდობა — ერთ დროს საკმაოდ ყოჩაღი ფრანგის ცოდვა გილერმო გარსია-ლოპესმა დაიდო. ფრანგებს ისლა თუ დაამშვიდებთ, რომ მეოთხედფინალის საგზური რიშარ გასკემ მოიპოვა. ამ ახალგაზრდა გალის თამაშიდან გამომდინარე შეიძლება ვთქვათ, რომ ის ამ ბრიტანულ ქალაქში გამარჯვების მთავარი პრეტენდენტია.

ჰოლანდიურ ჰერტოგენბოშში ფავორიტთა გვემა გრძელდება. გუშინ „გახარეთ“ ერთბაშად ოთხი განთესილის ტურნირიდან იძულებითი დათხოვნის შესახებ და ამ უილბლოთა სიას მალევე შეუერთდა მესამე ნომერი გილერმო კანასი. ეს არგენტინელი მიხაილ ბერერს სხვა ნებისმიერ საფარზე თითქმის ყველა შეხვედრას მოუგებს, მაგრამ ბალახზე გერმანელი გათამამდა და პირველი სეტის წაგების მიუხედავად, პატაგონიელს ჩემოდნები ჩაალაგებინა.

სამაგიეროდ, ჰოლანდიაში წინ ერთსულოვნად მიიწევენ პირველ-მეორე ნომრები — ტომი რობრედო და ივან ლიუბიჩიჩი და ტურნირზე შემორჩენილი შემადგენლობის გადახედვის შემდეგ ძნელი წარმოსადგენია, ფინალამდე მათ წინ ვინმე გადაელობოს.

**ჟაჟა ლომჯაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# აზიური დიდი პრიზი პატარა შედეგებით



ქსიუ ლიმეი

ტაილანდის დედაქალაქ ბანგკოკში აზიის დიდი პრიზი გათამაშდა. ზოგადად აზიელი მძლესონები, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, ციდან ვარსკვლავებს არ წყვეტენ და ბანგკოკშიც არ აღნიშნულა ისეთი შედეგები, კაცს რომ ალტაცების ოხვრა აღმოხდეს. თუმცა, ორმა მძლეოსანმა მაინც გამოიჩინა თავი და ჩვენც ორი სიტყვა, სწორედ მათზე ვთქვათ.

პირველ რიგში ჩინელი სამხტომელი ქალი ქსიუ ლიმეი უნდა გამოვყოთ. სამხტომი მილიარდნახევრიან ჩინეთში, როგორც ჩანს, მძლეოსნობის პოპულარულ სახეობას განეკუთვნება. გუშინ გვეწერა, ჟუნ მინგეი 17,27 მეტრზე გადახტა და ამ ბიჭს, როგორც ჩანს, მეტიც შეუძლიაო. ნიჭიერი მხტომელი უნდა იყოს ქსიუ ლიმეიც. ბანგკოკში მან სამი ნახტომის ჯამში 14,73 მეტრი აჩვენა და ეს კი, უკვე ელიტარულთან მიახლოებული შედეგია.

იგივე ითქმის ყაზახ სიმაღლეზე მხტომელ სერგეი ზასიმოვიჩზეც, ვინც 230 სანტიმეტრ სიმაღლეზე გადებულ თამასას გადაევლო. 21 წლის ზასიმოვიჩი უფრო მაღლაც ამხტარა, ანუ საკმაოდ სტაბილური მძლეოსანია და, თუ მის ასაკსაც გავითვალისწინებთ, უახლოეს მომავალში, იქნებ უძლიერესთა მარაქაშიც გაერიოს.

მეტი სათქმელი აზიის დიდი პრიზის შესახებ არც არაფერია, მით უმეტეს, რომ ბანგკოკში არ ყოფილა საუკეთესო აზიელი მძლეოსანი, 110 მეტრზე თარჯრბენში ოლიმპიური ჩემპიონი და მსოფლიოს რეკორდსმენი, ჩინელი ლიუ სიანი.

# ვისაც გინდათ, გამეჯიბრეთ

## რობლესი ყველასთვის და ყველაფრისთვის მზადაა

დეიმონ რობლესი ევროპის დასაპყრობად ემზადება. 20 წლის უნიჭიერეს კუბელ თარჯმორბენალს, როგორც თავად აცხადებს, არავისი და არაფრის არ ეშინია. მოკლედ, ის ყველანაირი თარჯებისა და წინაღობების დასაძლევად მზად არის.

კუბელი ევროპაშია, კერძოდ, საფრანგეთში და იქ რამდენიმე პაწაწინა ტურნირი მოიგო — ჯერ ვილენუ დასკში 110 თარჯით გაწყობილი 110 მეტრი 13,27 წამში დაფარა, შემდეგ ნოისი ლე გრანში იმავე საქმეს 13,42 წამი დაახარჯა, ბოლოს კი პარიზში იხტუნირბინა და 110 მეტრს 13,26 წამში „მოერია“.

რა გასაკვირია და, ამ შედეგებით რობლესმა ყველგან მოიგო, მაგრამ თავად ნაკლებად კმაყოფილი ჩანდა — ნოისში მეოთხე თარჯს გამოვედე და ამან დრო დამაკარგვინა, პარიზში მაინც მინდოდა უფრო სუფთად დამეფარა დისტანცია, მაგრამ აქაც ვერ გავაკეთე ყველაფერი იდეალურადო — „ცხადია, 13,26 წამი 13,42-ზე უკეთესია, მაგრამ ახლა ბოლო თარჯი ვერ დავძლიე სუფთად.“

სხვათა შორის, რობლესს სულ არ უხსენებია პარიზული შხაპუნა წვიმა, რომელმაც იქნებ ბევრით არა, მაგრამ მაინც შეაფერხა მისი სირბილი — „ამინდის ამბავი არ მაინტერესებს, ეს ჩემთვის შემაფერხებელი გარემოება არ არის. ამაზე სხვებმა იფიქრონ, მე კი ახლა მადრიდში სავარჯიშოდ უნდა ჩავიდე, რათა ოსტრავას ტურნირისთვის მოვემზადო. მერე კიდევ ბევრი ტურნირია და მინდა, რომ ყველასთვის მზად ვიყო. ვისაც გინდა, გამეჯიბრეთ.“

**ბოტე ყორშია**








# ფრენკ შლეკი მთებში შლეგია

ლუქსემბურგელი ძმები ფრენკ და ენდი შლეკები ახალი თაობის ერთ-ერთი უნიჭიერესი მრბოლები არიან. ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, ძმები უკვე დამკვიდრდნენ ველოელიტაში და უახლოეს წლებში დიდი რბოლების მოგებაზეც განაცხადებენ პრეტენზიას.

ფრენკ შლეკი შარშანდელი „ტურ დე ფრანსის“ ერთ-ერთი გამორჩეული სახე იყო, ხოლო ენდიმ წლევანდელი „ჯირო დიტალიაზე“ მეორე ადგილი დაიკავა. დანიური CSC-ის შეფებმა ასე გადაწყვიტეს, რომ წელს ენდი სწორედ „ჯიროზე“ გამოვიდოდა, ხოლო ფრენკი „ტურისთვის“ შეინახეს.

შეინახეს, ფრანგული სუპერრბოლის დაწყების დროც მოახლოვდა და ფრენკიც გააქტიურდა — ამ დღეებში მიმდინარე „შვეიცარიის ტურზე“, რომელიც „დიდი მარყუჟის“ ბოლო რეპეტიციაა, უფროსმა შლეკმა ბრწყინვალე სტილში მოიგო 167-კილომეტრიანი მესამე ეტაპი ნაუდერსსა და ტრისენბერგ-მალბუნს შორის.

ეტაპი სამთო იყო და CSC-ის მრბოლმა ისეთი მთის მგლები დაჩაგრა, როგორებიც ჯილბერტო სიმონი და დამიანო კუნეგო არიან. ეს იტალიელები შლეკს წუთზე მეტით ჩამორჩნენ. გამარჯვებულთან უფრო ახლოს სხვები იყვნენ — რუსმა ვლადიმირ ეფიმკინმა ლუქსემბურგელთან 32 წამი წააგო, ესპანელმა ხოსე ანხელ გომეს მარჩანტემ — 42, ხოლო იტალიელმა მატეო კარარამ და შლეკის თანამემამულე კიმ კირხენმა — 48-48.

ამ გამარჯვებით ფრენკი გენერალურ კლასიფიკაციაშიც დაწინაურდა. ძველი ლიდერი, შვეიცარიელი ფაბიენ კანცელარა მთებში უიმედოდ ჩამორჩა და ახლა შლეკის უკან, სწორედ ეფიმკინი და კირხენი არიან, რომლებიც ლიდერთან 49-49 წამს აგებენ.

# მაკუეიდის იდეა: საივლისო ქარტია

ველოსიპედისტთა საერთაშორისო კავშირმა (UCI) პირადად კავშირის პრეზიდენტის, ირლანდიელი პიტერ მაკუეიდის ინიციატივით, პრო-ტურის სერიაში მონაწილე ოცივე ველოგუნდის ხელმძღვანელობას მიმართა, ხელი მოაწერონ ანტისადოპინგო ქარტიას.



ქარტიაზე ხელისმოწერა 7 ივლისამდე, ანუ სეზონის უმთავრესი რბოლის, „ტურ დე ფრანსის“ დაწყებამდე უნდა მოხდეს. ქარტია თავიანთი ხელმოწერით უნდა დაამშვენონ არა მარტო ველოგუნდების შეფებმა, არამედ ამ ველოგუნდების მრბოლებმაც.

ქარტია მრბოლს ავალდებულებს, გაიაროს ყველა ის დოპინგ-ტესტი, რომლებიც ყბადაღებული „ოპერაციონ პუერტას“, ანუ სხვანაირად ექიმ ფუენტესის საქმის გამომძიებელი ესპანელი სამართალდამცავები მოითხოვენ.

UCI ამ მეთოდებით ცდილობს, აირიდოს მორიგი სკანდალი, მით უმეტეს უპოპულარეს „ტურ დე ფრანსზე“, რადგანაც გაუთავებელი სადოპინგო პრობლემების გამო ველოსპორტის პრესტიჟი, ისედაც საკმაოდ შეილახა და მორიგი სკანდალი, თანაც „ტურზე“, უკვე ძალზე მძიმე დარტყმა იქნება.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია აბულაძე, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კვირიკაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლარიშვილი, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge